პატიმარი ძმები სასიკვდილოდ საკუთარი ბანდის წევრმა გაიმეტა A4

"ოქრო", "ვერცხლი" და დაკარგული ჩემპიონობა B1

ფოტოკონკურსი B4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 24 ნოემბერი, 2002 წელი. №175

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### ამერიკელი მაღალჩინოსანი თბილისში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის დასაჩქარებლად ჩამოდის

ხვალ ორდღიანი სამუშაო ვიზიტით თბილისში ჩამოვა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველი კასპიის ენერგორესურსების საკითხებში სტივენ მანი. იგი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძესა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის თავმჯდომარეს გია ჭანტურიას შეხვდება. სტივენ მანის ვიზიტისას ერთ-ერთ საკითხად მილსადენის გარემოზე ზემოქმედების საკითხი განიხილება.

A2

## უცხოეთი

### პუშკინს და პუტინს უფრო მეტი ძალა აქვს, თუ ბუშს?

პრორუსული ძალების წარმომადგენელი ექსპერტები და ანალიტიკოსები სანქტ-პეტერბურგთან მდებარე ისტორიულ ნაკრძალად გამოცხადებულ ქალაქ-მუზეუმ პუშკინოში არ დაუპატიჟებიათ. პუშკინოს სანახებში პუტინ-ბუშის სამიტზე კრემლის თეორეტიკოსების შთამბეჭდავ დესანტს წარმოადგენდა ის ხალხი, ვინც უკანასკნელი წელიწადია კრემლის პროამერიკული კურსის გამომუშავებასა და რუსეთის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებაზე მუშაობს.

A3

## სამართალი

### ყაჩაღი კოლეგებმა გაიტაცეს

დაახლოებით ერთი თვის წინ, ბულგარული ფირმის ერთ-ერთი წარმომადგენელი პანჩო ბელგი ავტომობილით ბაქოდან ფოთში მიდიოდა. სოფელ საგვიჩიანოსთან მანქანას შეიარაღებული პირები გადაუდგნენ და მძღოლი (ქართველი) ავტომატის მუქარით აიძულეს, გაჩერებულიყო.

A4

## კულტურა

### გიორგი შავგულიძე ნამდვილი სახალხო არტისტი იყო

22 ნოემბრიდან გიორგი შავგულიძის დამოუკიდებელ თეატრ "სახიობაში" გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით თეატრალური კვირეული დაიწყო. კვირეული გაიხსნა სპექტაკლით "კაცია ადამიანი?!"

B2

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 17 |
| ქუთაისი | 22 |
| ბათუმი | 22 |
| სოხუმი | 20 |
| ფოთი | 22 |
| თელავი | 16 |
| ზუგდიდი | 23 |
| გორი | 14 |
| ახმეტა | 15 |
| ქიათურა | 18 |
| გაგრა | 19 |
| სამტრედია | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1850 |
| ევრო | 2.1900 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4545 |
| რუბლი | 0.0687 |

# საქართველოს აშშ-ს გაერთიანებული შტაბების უფროსი ეწვია

გუშინ საღამოს დაიწყო აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსის, ოთხვარსკვლავიანი გენერლის რიჩარდ მაიერსის სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ამერიკელი გენერლის ვიზიტის მიზანს საქართველოს უსაფრთხოების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, კრიზისულ სიტუაციებში საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებისა და ქვეყანაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გაცნობა წარმოადგენს. დღეს რიჩარდ მაიერსი საქართველოს თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს შეხვდება. ორშაბათს კი მას პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიიღებს.

შეხვედრაზე მხარეები სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გეგმას განიხილავენ. სავარაუდოდ, ისინი საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გაზრდის შესაძლებლობაზე იმსჯელებენ და რეგიონის უსაფრთხოების საკითხებსაც შეეხებიან.

თავდაცვის მინისტრის მოადგილის გელა ბეჟუაშვილის თქმით, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ რიჩარდ მაიერსი თბილისში სწორედ ნატო-ს პრაღის სამიტის დასრულებისთანავე ჩამოდის. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პრაღის სამიტზე ოფიციალურად განაცხადა საქართველოს სურვილის შესახებ, გახდეს ნატო-ს წევრი.

"საქართველოს მისწრაფებები ამჟამად უფრო ცხადი გახდა. პოზიცია მკვეთრად არის გამოხატული, რაც საკითხების განხილვას ხელს შეუწყობს," - აღნიშნა გელა ბეჟუაშვილმა.

ქართველი ექსპერტების თქმით, სავარაუდოდ, ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომის საკითხებიც განიხილება. არ არის გამორიცხული, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციამ საქართველოს ხელისუფლებას სამხედრო ბაზების გამოყენება სთხოვოს.

მოვლენების აღნიშნული სცენარით განვითარების შემთხვევაში, საქართველოს ორმაგი სარგებელი ექნება: პირველი, საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკის შეიარაღებული ძალების განლაგება ჩვენს ქვეყანას უსაფრთხოების უპრეცედენტო გარანტიებს მისცემს. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფას შეეცდება, ამავდროულად, შეერთებულ შტატებთანაც მოუწევს დაპირისპირება.

და მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფინანსური მოგება, რომელიც ბაზების ამერიკელებისათვის დათმობით საქართველომ შეიძლება მიიღოს.



რიჩარდ მაიერსი (მარჯვნივ) თბილისის აეროპორტში.

ავღანეთში საომარი კამპანიის დაწყების წინ, ბუშის ადმინისტრაციის თხოვნით, ყირგიზეთმა ამერიკელ სამხედროებს მანასის აეროპორტის გამოყენების უფლება მისცა. ახლა ვაშინგტონი ყირგიზეთის მთავრობას ამერიკული თვითმფრინავების მიერ ავღანეთში განხორციელებული თითოეული საბრძოლო გაფრენისათვის 6 000 ამერიკულ დოლარს უხდის.

სამდღიანი ვიზიტისას გენერალი მაიერსი კრწანისის სასწავლო ცენტრში მიმდინარე "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამას გაეცნობა, რომელიც შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ გამოყოფილი 64 მილიონი ამერიკული დოლარით ხორციელდება. კრწანისის ცენტრში ამერიკელი გენერალი 11 სექტემბერს დაღუპულთა მემორიალის გახსნის ცერემონიალს დაესწრება.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ, გენერალი საქართველოში ვიზიტის შედეგების შესახებ ანგარიშს პენტაგონს წარუდგენს. ექსპერტების განცხადებით, ამერიკა-საქართველოს შემდგომი სამხედრო თანამშრომლობა ამ ანგარიშზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული, რადგან გაერთიანებული შტაბების უფროსი აშშ-ს პრეზიდენტის, თავდაცვის მინისტრისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მთავარი სამხედრო მრჩეველიცაა.

## ნატო-ს ახალი წევრები მილოცვებს იღებენ

შოთა უტიაშვილი

"დღეიდან ლიტვას ვეღარასოდეს მოექცევიან ისე, როგორც წარსულში ექცეოდნენ," – განაცხადა ამ ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა, ვიტაუტას ლანდსბერგისმა ვილნიუსში, პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრისას.

"მილიონობით ლიტველისა და აღმოსავლეთ ევროპელის ოცნება, ეცხოვრათ ერთიან, თავისუფალ და მშვიდობიან ევროპაში, ასრულდა," – თქვა ახლანდელმა პრეზიდენტმა, ვალდას ადამკუსმა.

ათეულ ათასობით ლიტველმა თბილი შეხვედრა მოუწყო სტუმრად მყოფ ამერიკის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს, რომელიც ვილნიუსს ლიტვის ნატო-ში ოფიციალური მიწვევის აღსანიშნავად ჩავიდა. საერთო აზრით, სწორედ შეერთებული შტატების ძლიერი მხარდაჭერა იყო ის ფაქტორი, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის ათი ქვეყნის (პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი - 1999 წელს გაწევრიანდნენ) სწრაფი გაწევრიანება განაპირობა.

ევროპასა და ამერიკაში ბევრი ფიქრობდა, რომ დასავლეთს გარკვეული მორალური ვალდებულება

გაგრძელება A3 გვერდზე

## ჟვანიამ სომეხი მოსახლეობის ხმებისთვის ბრძოლა დაიწყო

*გუშინ "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა, პარლამენტის ექს-სპიკერმა ზურაბ ჟვანიამ სამცხე-ჯავახეთში ორდღიანი ვიზიტი დაასრულა. ახალციხეში და ახალქალაქში "გდ"-ს რაიონული ორგანიზაციები დაფუძნდა. ეს იყო ზურაბ ჟვანიას პირველი გასვლა თბილისიდან, პარტიის გახმაურებული კონვენტის შემდეგ, სადაც ექს-სპიკერმა პირველად ოფიციალურად გამოაცხადა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენების შესახებ.* ***"ჩვენ იმიტომ არ ჩამოვედით სამცხე-ჯავახეთში, რომ გესაუბროთ, თუ რა ცუდია ჩვენი ხელისუფლება, თქვენ ეს ჩვენზე კარგად იცით. ჩვენ გიწვდით თანამშრომლობის ხელს, რათა ერთად გამოვიყვანოთ ჩვენი ერი იმ სასოწარკვეთილი მდგომარეობიდან, რომლამდეც ამ ხელისუფლებამ მიგვიყვანა,"*** *– ასე დაასრულა გუშინ ჟვანიამ ბოლო გამოსვლა ახალქალაქის თეატრში.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## საქართველო კახი ასათიანს ეთხოვება

დღეს საქართველო კახი ასათიანს გამოეთხოვება - ადამიანს, რომელმაც ფეხბურთის სიყვარულით "დაავადებულ" ქვეყანაში განსაკუთრებული ადგილის დაკავება შეძლო - ის ქართული ფეხბურთის უდიდესი ვარსკვლავი იყო.

ჩვენში გასაკვირი აღარაფერია, ხალხი ბევრ რამეს მიეჩვია. ქართული ფეხბურთის გულშემატკივარმა არაერთი დანაკლისი განიცადა, უკანასკნელად დათო ყიფიანი წავიდა ჩვენგან. თითქოს რა უნდა ყოფილიყო უფრო მტკივნეული - ალბათ ის, რაც ოთხშაბათს, აბაშიძის ქუჩაზე მოხდა.

1969 წელს ასათიანი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ერთი წლის შემდეგ კი, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტურნირის ყველაზე სიმპათიური ფეხბურთელი უწოდეს.

ქართულ ფეხბურთს არასოდეს აკლდა ვარსკვლავები, მაგრამ მათ შორისაც არსებობდნენ გამორჩეულები. საფეხბურთო მოედანზე ის ისეთივე ამაყი იყო, როგორც მის გარეთ. წმინდა სპორტულ ტალანტთან ერთად მას რაღაც სხვა ხიბლიც ჰქონდა - ვარსკვლავური ხასიათი.



## ასე გაგრძელება აღარ შეიძლება - აცხადებენ „ლიბერალები"

*ქართულ პოლიტიკურ სპექტრში "თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი, ძლიერი და აყვავებული საქართველოს" შექმნის მსურველი კიდევ ერთი პარტია გამოჩნდა. "ლიბერალურ პარტიას" საკუთარი პოლიტიკური ამბიციები შორეულ პერსპექტივებზე აქვს გათვლილი და ყველა მომავალი არჩევნების ფავორიტობას გეგმავს. გუშინ "ლიბერალებმა" საკუთარი არსებობა ოფიციალურად დააფიქსირეს და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გამართეს. პარტიის თავმჯდომარედ კონტროლის პალატის ყოფილი შეფი რეზო შავიშვილი გამოცხადდა, მის მოადგილედ ფრაქცია "მრეწველების" წევრი ვახტანგ ხმალაძე. "ლიბერალების" რიგებშია ასევე ეკონომიკური ექსპერტი ნიკო ორველაშვილიც. გუშინდელ ყრილობაზე, რომელსაც ათასამდე დელეგატი ესწრებოდა, "ლიბერალებმა" პარტიის დეკლარაცია მიიღეს, წესდება დაამტკიცეს და პოლიტსაბჭოც აირჩიეს.*

სოფო ბუკია

**"ამ დარბაზში არის ხალხი, რომელიც მიიჩნევს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება,"** – ამ ფრაზას გუშინ "ლიბერალური პარტიის" დამფუძნებელ ყრილობაზე ხშირად იმეორებდნენ.

**"ქვეყნის უბედურების"** ძირითად მიზეზად საზოგადოების გულგრილობა და **"კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლება"** გამოცხადდა.

**"ვაფუძნებთ რა ახალ პარტიას, გვსურს, საზოგადოებას შევთავაზოთ ქვეყნის განვითარების სრულიად განსხვავებული, ჩვენეული ხედვა,"** – განაცხადა რეზო შავიშვილმა და საზოგადოებას პარტიის დეკლარაცია თავად წაუკითხა.

შავიშვილისა და ხმალაძის პარტია საკუთარ მხარდამჭერებს სერიოზულ, გაწონასწორებულ სახელმწიფო პოლიტიკას ჰპირდება, ქვეყნის წინაშე სერიოზულ პასუხისმგებლობას იღებს და ყველა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის გზებიც იცის.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 პოლიტიკა A2 ინფორმაცია A2 ეკონომიკა A3 უცხოეთი A4 საზოგადოება A4 სამართალი

B1 სპორტი B2 კულტურა B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

## მოკლედ

**ლონდონი**. როგორც ბრიტანული გაზეთი "გარდიანი" იუწყება, დიდ ბრიტანეთს განზრახული აქვს, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას შეიარაღებული ძალების ელიტური ნაწილების მომზადებაში. სკოტლანდ იარდისა და საიდუმლო სამსახურის ანტიტერორიზმის ექსპერტები ქართულ სპეცრაზმებს გამოცდილებას გაუზიარებენ, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტიდან მათ საკმაოდ აქვთ. დიდი ბრიტანეთი აქამდეც ეხმარებოდა საქართველოს ოფიცერთა მომზადებაში, მაგრამ ახლო მომავალში ეს დახმარება მნიშვნელოვნად გაიზრდება. გაზეთი მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ორ ფაქტორს უკავშირებს, პირველია ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა და მეორე, ბრიტანული გიგანტის "ბრიტიშ პეტროლიუმის" მსხვილი ინვესტიცია საქართველოში.

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასრულების შემდეგ საქართველოს პატრიარქის წარმომადგენლებმა პირველად გადაიხადეს საზეიმო ლიტურგია ოჩამჩირის რაიონში მდებარე ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ლიტურგიის ჩატარება რუსი მშვიდობისმყოფელების დახმარებით განხორციელდა.

მიუხედავად ადრე მიღწეული შეთანხმებისა, ორი დღის წინ ზუგდიდში ჩასულ ხუთ მღვდელმთავარს გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ უარი უთხრა უსაფრთხოების გარანტიების მიცემაზე და თბილისში დაბრუნება ურჩია. ამის შემდგომ სამღვდელოებამ რუსეთის მშვიდობისმყოფელების სარდალ ალექსანდრე ევტეევს მიმართა. მან მღვდლებს სამი ჯავშანმანქანა და 50-დე ჯარისკაცი აახლა ილორში. რუსების ხელშეწყობის შედეგად ილორში გიორგობის დღესთან დაკავშირებული წირვა ქართულად აღევლინა. ლიტურგია ღამის 12 საათზე დაიწყო და 2 საათამდე დიდძალი ხალხის თანდასწრებით გაგრძელდა. ამის შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ქართველი მღვდელმთავრები ზუგდიდში გამოაცილეს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანის პარლამენტმა წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის სპიკერს ნინო ბურჯანაძეს და პროტესტი გამოთქვა **საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელების შევიწროების გამო.**

მილი-მეჯლისის სპიკერმა მურთუზ ალესკეროვმა პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ **"საქართველოში მსგავსი დამოკიდებულება აზერბაიჯანელების მიმართ არ შეუწყობს ხელს ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების გაღრმავებას".**

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული ფაქტები მას არ დაუსახელებია. არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს ნახევარ მილიონამდე აზერბაიჯანელი. ისინი დეკემბერში ყრილობის გამართვას აპირებენ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი. "აფხაზეთმა თავისი დამოკიდებულება საქართველოსადმი კარგა ხნის წინ განსაზღვრა, როცა განაცხადა, რომ სურს დამოუკიდებლობა. ჩვენი პოზიცია არ შეიცვლება იმის მიუხედავად, შევა თუ არა საქართველო ნატო-ში", -** განაცხადა მოსკოვში მყოფმა აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერმა ანრი ჯერგენიამ.

**ამასთან, ჯერგენია კვლავ გამოთქვამს შეშფოთებას საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სურვილთან დაკავშირებით, რადგან ვარაუდობას, რომ** "ნატო უფრო აქტიურად დაუჭერს მხარს საქართველოს ჩვენს წინააღმდეგ"**.** "ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ საქართველო მიმართავს აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გადაჭრის გზას. ძალისმიერ გზას იქ ყოველთვის უჭერდნენ მხარს და ადვილი მოსალოდნელია, მის გამოყენებას ველოდოთ - იქნება ეს ნატო თუ გელაევი", **- აღნიშნა ჯერგენიამ. კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ერევანი. "საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება მარტო მისი სურვილით არ შემოიფარგლება - ეს საკმაოდ ხანგრძლივი და სერიოზული პროცესია",** - ასე შეაფასა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა საქართველოს სურვილი ნატო-ში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნული საკითხის კომენტირებისას ოსკანიანმა აღნიშნა, რომ **"ყველა ქვეყანა თავად წყვეტს, უსაფრთხოების როგორი სისტემა აირჩიოს". "თუ სომხეთი ჩამორჩება საქართველოსა და აზერბაიჯანს ნატო-სთან თანამშრომლობის საკითხებში, ეს გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ სომხეთს არ განუცხადებია ნატო-ში შესვლის სურვილის შესახებ",** - განმარტა ოსკანიანმა.

მისი თქმით, **"სომხეთის გაწევრიანება ნატო-ში იქნებოდა ძალიან დიდი ნახტომი ქვეყნისათვის, რისთვისაც არც სომხეთია მზად და არც ნატო. სომხეთის საგარეო უწყების მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ "მოცემულ მომენტში სომხეთს მიზნად არ დაუსახავს ნატო-ში გაწევრიანება"**. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი ქვეყნის მოსახლეობას ეიფორიაში ყოფნას არ ურჩევს და ხელისუფლებას ნატო-ში საქართველოს გასაწევრიანებლად კონკრეტული საქმეების კეთებისაკენ მოუწოდებს.

დავითაშვილის თქმით, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება არ მოხერხდება, ვინაიდან ხელისუფლების უმოქმედობის გამო ქვეყნის ეკონომიკა და სამხედრო ძალები უმძიმეს მდგომარეობაშია.

დავითაშვილი მოსახლეობასა და ხელისუფლებას ნატო-ში შესვლის შესახებ პრეზიდენტ შევარდნაძის პრაღის სამიტზე გაკეთებული განცხადების გამო "ილუზიების ტყვეობიდან" გამოსვლას ურჩევს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ **"ვიდრე ქვეყანა ნატო-ს სტადარტებს არ დააკმაყოფილებს",** ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება არ მოხერხდება. დავითაშვილი შეცდომად მიიჩნევს გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს აფხაზეთის პრობლემას ნატო მოაგვარებს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილის შეფასებით, ნატო-ს პრაღის გუშინდელი სამიტი, სხვა სამიტებისგან განსხვავებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

**"გუშინდელ სამიტზე რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი გადაწყდა. მათ შორის, ნატო-ს გაფართოება და საქართველოს განაცხადი ნატო-ში გაწევრიანების სურვილთან დკავშირებით",** - თქვა ბათიაშვილმა. მისი განცხადებით, ქართული მხარის სურვილს ნატო-ში გაწევრიანების შესახებ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობა დადებითად შეხვდა. **"გასაკეთებელი ბევრია, ქვეყნის შიგნით წინააღმდეგობებიც შეგვხვდება, მაგრამ თუ არ მოვინდომებთ, გუშინდელი განაცხადი მხოლოდ ლოზუნგის დონეზე დარჩება",** - აღნიშნა ბათიაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია მიიჩნევს, რომ დეპუტატის იმუნიტეტის გაუქმება ვერ მოხსნის პარლამენტარების მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას.

მისი თქმით, იმუნიტეტი სერიოზულ ბარიერებს ქმნის სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეები არ აღიძვრება იმ პირების წინააღმდეგაც, რომლებსაც ხელშეუხებლობა არ გააჩნიათ, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურებში მაღალი პოსტები უკავიათ. მისი თქმით, იმ დრომდე, ვიდრე ქვეყნის ხელისუფლება თავად არ დაიწყებს იმ კანონების დაცვას, რომლებსაც თვითონვე იღებს, მართლმსაჯულების პრობლემებზე საუბარს აზრი არა აქვს. მიუხედავად ამისა, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას აუცილებლად მიაჩნია სადეპუტატო ხელშეუხებლობის გაუქმება, თუმცა ეჭვი ეპარება იმაში, რომ პარლამენტი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრორუსული ორიენტაციით ცნობილი ვახტანგ გოგუაძე ნატო-ში საქართველოს სავარაუდო გაწევრიანებას მიესალმება, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ნატო თანამედროვე მსოფლიოში რუსეთთან ერთად განაგებს მსოფლიოს.

გოგუაძის განცხადებით, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სწრაფვა რუსების ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან აშშ-მ და რუსეთმა, კარგა ხანია, გამოძებნეს საერთო ენა და ნატო რუსეთის წინააღმდეგ აღარ არის მიმართული. მისივე განცხადებით, ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსი როგორც სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, აღარ არსებობს. იგი უფრო კულტურულ-პოლიტიკურ კლუბს ემსგავსება, რომელშიც მხოლოდ სადამ ჰუსეინის ტიპის მოღვაწე პოლიტიკოსებს არ იღებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანული ფირმები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სავაჭრო კონტაქტებს პოსტსაბჭოური სივრცის მთელ რიგ ქვეყნებთან. განსაკუთრებით, ეს სამხრეთ კავკასიას ეხება. როგორც "კავკას-პრესისათვის" გახდა ცნობილი, გერმანიის სტატისტიკურ უწყებაში გამოქვეყნებული მონაცემებით, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში დიდი ადგილი უკავია ვაჭრობის ბრუნვას სწორედ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან. ყველაზე მეტად გაზრდილია ბუნებრივი აირის იმპორტი აზერბაიჯანიდან. საქართველოდან გერმანიაში შედის, ძირითადად, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, თუმცა, ექსპორტი ოთხჯერ აღემატება იმპორტს. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგაზის" 70 ათასს აბონენტს გაზის მიწოდება აღუდგა. როგორც კავკას-პრესს "თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა თენგიზ არშილავამ განუცხადა, დღეს გაზის მიწოდება აღუდგა საბურთალოს რაიონის ბახტრიონისა და საბურთალოს ქუჩებს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის წყალტუბოს, მირცხულავასა და აღმაშენებლის ქუჩებს. მისი განცხადებით, ხვალიდან მობილიზებული ძალებით "თბილგაზი" დანარჩენი უბნების ჩართვაზე იმუშავებს, ამჟამად კი "თბილგაზის" აბონენტების თითქმის ნახევარს, კერძოდ - 70 ათასს აბონენტს ბუნებრივი აირის მოწოდება აღუდგა. სულ "თბილგაზს" 165 ათასი აბონენტი ჰყავს. არშილავას განცხადებით, ხვალ ჩაირთვება ისანი-სამგორის რაიონის ნაწილი, ასევე საბურთალოზე ვაჟა-ფშაველასა და ასათიანის ქუჩები, ზემო ვეძისი და დიდი დიღომი. "გარდა ამისა, ჩასართავია გლდანის პირველი და მეორე მიკრორაიონები, თემქა, სანზონა და ნაძალადევი. სამუშაოების დასრულებას რამდენიმე დღე დასჭირდება", - განაცხადა არშილავამ. აღსანიშნავია, რომ გუშინ და გუშინწინ ნაწილობრივ ჩაირთო ისანი-სამგორის, დიღმის, მთაწმინდა-კრწანისის, ზემო ფონიჭალის, საბურთალოს ნაწილი და სრულად ვაკის რაიონი. ამჟამად "თბილგაზს" "საქგაზი" 480 ათასს კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს აწვდის, თუმცა, ქალაქის სრული დატვირთვის შემდეგ გაზრდილ მოხმარებასთან ერთად გაზის მიწოდებაც იმატებს. არშილავას თქმით, გაზის ტრანსპორტის კორპორაციამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და 850 ათასს კუბურ მეტრამდე ბუნებრივ აირს მოაწვდის "თბილგაზს". გაზის საერთაშორისო კორპარაციამ კი "თბილგაზის" გაზმომარაგება უკვე შეწყვიტა. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** გაზის საერთშორისო კორპორაციამ დაიწყო აზერბაიჯანიდან გაზის მისაღებად ორი ქვეყნის გაზსადენების შემაერთებელი ქსელის ტექნიკური მომზადება. როგორც კავკას-პრესს გაზის საერთშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე გოცირიძემ განუცხადა, ამ დროისათვის საუბარია მხოლოდ გაზსადენის ტექნიკურ გამართულობაზე. ამ ეტაპზე საქართველო არ ამყარებს დიდ იმედს აზერბაიჯანულ გაზზე, ვინაიდან, გაგებით ეკიდება იმას, რომ აზერბაიჯანი, ჯერჯერობით, თავად არის დამოკიდებული რუსეთის გაზზე. გოცირიძის თქმით, აზერბაიჯანი ვერ შეძლებს საქართველოში გაზის ექსპორტირებას, ვინაიდან თავად აქვს დეფიციტი, რომელსაც "იტერასაგან" ავსებს. გოცირიძე აცხადებს, რომ მაგისტრალური გაზსადენი, რომელიც საქართველოს აზერბაიჯანთან აკავშირებს, საქართველოს ტერიტორიაზე 2-კვირიან რემონტს ითხოვს, რომელიც დაახლოებით 150 ათასი ლარი დაჯდება.

კორპორაციის პრეზიდენტს, ჯერჯერობით, არ აქვს ინფორმაცია გაზსადენის მდგომარეობაზე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, სადაც გაზის საერთაშორისო კორპორაციის თხოვნით გაემგზავრნენ "ინოგეიტის" ექსპერტები. **"კავკას-პრესი".**

# ასე გაგრძელება აღარ შეიძლება - აცხადებენ „ლიბერალები"

პირველი გვერდიდან

პარტიის უმთავრეს პრიორიტეტად "ლიბერალები" ქართული ეკონომიკის პერსპექტივებზე ზრუნვას ასახელებენ. **"ლიბერალებისთვის" ეკონომიკა ყოველთვის არის და იქნება საყვარელი შვილი,"** – აცხადებს ნიკო ორველაშვილი და დღევანდელ ხელისუფლებასა და პარლამენტს ეკონომიკური საკითხებისადმი გულგრილობაში ადანაშაულებს.

თავდაპირველად შავიშვილი-ხმალაძე ახალი პარტიის შექმნას, პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან ერთად, ბიზნესმენ ვალერი გელაშვილის ფინანსური მხარდაჭერით აპირებდნენ. პარტიის სახელწოდებად "ნეოლიბერალური პარტია" იყო შერჩეული. აღნიშნული პარტია მართლაც შეიქმნა, თუმცა შავიშვილი და ხმალაძე იქ ვერ მოხვდნენ. განხეთქილების მიზეზებზე რეზო შავიშვილს გუშინ არ უსაუბრია. **"არავითარი განხეთქილება არ ყოფილა, მოვიდა ხალხი და გვთხოვა, პარტია ერთად გავაკეთოთო, მერე ეს ხალხი ადგა და წავიდა,"** – განმარტა კონტროლის პალატის ყოფილმა შეფმა.

საპარლამენტო არჩევნების მიმართ საკუთარ ამბიციებს "ლიბერალები" არ მალავენ. როგორც პარტიის ლიდერი რეზო შავიშვილი ამბობს, ისინი პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების მომხრენი არიან, მაგრამ თუ საქართველო კვლავ საპრეზიდენტო მოდელის ერთგული დარჩა, "ლიბერალები" საპრეზიდენტო არჩევნებზე თავიანთ კანდიდატურას დააყენებენ.



*პარტიის დაფუძნების შემდეგ.*

უახლოეს მომავალში "ლიბერალები" რეგიონების გულის მონადირებასაც გეგმავენ. **"ჩვენ აუცილებლად ვიმუშავებთ რეგიონებში, თუმცა, იქ ფეხი უკვე მოკიდებული გვაქვს. ჩვენ დღეს არ ვიწყებთ პოლიტიკას, უკვე 14 წელია, პოლიტიკაში ვართ,"** – ამბობს შავიშვილი.

რა განსხვავება იქნება "ნეოლიბერალური" და "ლიბერალური" პარტიების მიერ შემოთავაზებულ "ლიბერალიზმებს" შორის, შავიშვილმა ჯერ არ იცის: **"განსხვავება ჩვენში აუცილებლად იქნება. რა სახის? ამას მომავალი გვიჩვენებს."**

მომავალი პოლიტიკური პარტნიორები "ლიბერალებს" ჯერ "შეუთვალიერებიათ", თუმცა, "ჩხუბს არავისთან არ აპირებენ" და კონსტრუქციული დიალოგისთვის ყოველთვის მზად არიან.

"ნეოლიბერალებისგან" განსხვავებით, რომელთაც, ბიზნესმენ გელაშვილის სახით, გამოკვეთილი სპონსორი ჰყავთ, "ლიბერალებს" ნაკლებად გაუმართლათ. როგორც შავიშვილი ამბობს, პარტიის ფინანსურ მხარდაჭერაზე მზრუნველი "ერთი კონკრეტული პირი" არ არსებობს. **"ფინანსები ძალიან რთული საკითხია. კონკრეტულს ვერავის დაგისახელებთ, მაგრამ აუცილებლად მოიძებნებიან ისინი, ვინც ჩვენთვის და ქვეყნისთვის ცოტ-ცოტას გაიღებენ,"** – აცხადებს შავიშვილი.

# ჟვანიამ სომეხი მოსახლეობის ხმებისთვის ბრძოლა დაიწყო

პირველი გვერდიდან

"გაერთიანებული დემოკრატები" სამცხისა და ჯავახეთის მთავარ ქალაქებს საკმაოდ მძიმეწონიანი დესანტით ეწვივნენ. ჟვანიას თან ახლდნენ "გდ"-ს გენმდივანი გოკა გაბაშვილი, პარლამენტარები ელენე თევდორაძე, ედვარდ სურმანიძე, რომან კუსიანი და ჰამლეტ მოვსესიანი, ეკონომიკის მინიტრის მოადგილე გენა მურადიანი, თბილისის სომხური თეატრის ხელმძღვანელი არმენ ბაინდურიანი, რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი და "გდ-ს" მეწარმეთა კავშირის წარმომადგენელი მარინა შენგელია. ამ უკანასკნელმა კონკრეტული საჩუქარიც ჩაუტანა ახალციხელებს: მალე ადგილობრივ მეწარმეებს მცირე, დაბალპროცენტიანი სესხების აღება ახალციხეში შეეძლებათ.

ახალციხეში ჟვანიამ მოინახულა "გდ"-ს რაიონული ორგანიზაციის ახალი ოფისი, მოგვიანებით კი რეგიონული ორგანიზაციის ლიდერად ყოფილი პარლამენტარი - გოჩა ნათენაძე დაამტკიცა; დაათვალიერა სამხატვრო სკოლა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია; შეხვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის



*ზურაბ ჟვანიამ სამცხე-ჯავახეთში ხე დარგა - მისი პოლიტიკური კარიერა მწვანეთა მოძრაობიდან დაიწყო.*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორს მერაბ ბერიძეს, ფილიალის პროფესურასა და სტუდენტებს.

ვიზიტის მეორე დღე ჟვანიამ სომეხი მხატვრის შოვიკ რაისიანის ნამუშევრების დათვალიერებით დაიწყო. ახალქალაქის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად კი ჯავახეთში ერთ-ერთი გავლენიანი პიროვნება მელიქ რაისიანი იქნა არჩეული. ახალქალაქის თეატრში გამართულ კონფერენციაზე მთავარ თემად რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანის საკითხი იქცა. **"ბაზის ასე სწრაფად გაყვანა დაუშვებელია, იქ სამი ათასამდე ახალქალაქელია დასაქმებული. ამიტომ ამ საკითხს უფრო გააზრებული მიდგომა უნდა, ვიდრე ეს დღეს ჩვენს ხელისუფლებას აქვს,"** – გვითხრა მელიქ რაისიანმა.

ნატო-ში გაწევრიანების აქტიურ მომხრე ზურაბ ჟვანიას, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბაზასთან დაკავშირებით შედარებით ფრთხილი განცხადების გაკეთება მოუხდა. **"რუსეთის სამხედრო ბაზამ უნდა დატოვოს საქართველო, მაგრამ პარალელურად უნდა გადაწყდეს იქ დასაქმებული ადამიანების პრობლემა და ბაზის გასვლის შემდეგ რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი,"** – ჟვანიას ბოლო ფრაზას ახალქალაქის თეატრში მხურვალე ტაში მოჰყვა.

გუშინვე ზურაბ ჟვანია კერძო ვიზიტით სოფელ ფოკას ესტუმრა, შემდეგ კი თბილისში გამოემგზავრა.

*"24 საათი"*

## ეკონომიკა

# ამერიკელი მაღალჩინოსანი თბილისში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის დასაჩქარებლად ჩამოდის

*ხვალ ორდღიანი სამუშაო ვიზიტით თბილისში ჩამოვა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველი კასპიის ენერგორესურსების საკითხებში სტივენ მანი. იგი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძესა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის თავმჯდომარეს გია ჭანტურიას შეხვდება. სტივენ მანის ვიზიტისას ერთ-ერთ საკითხად მილსადენის გარემოზე ზემოქმედების საკითხი განიხილება.*

მაია ურუშაძე

სავარაუდოა, რომ სტივენ მანის ვიზიტის მთავარი მიზანი მილსადენის მშენებლობის დაჩქარებაა. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანი უკმაყოფილოა, რომ საქართველოს მილსადენის ოპერატორ კომპანია "ბიპისთვის", ჯერჯერობით, არ მიუცია ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მილსადენის მშენებლობის დასაწყებად არის აუცილებელი.

**"აზერბაიჯანი შეშფოთებულია, რომ საქართველო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადნის მშენებლობის პროექტისთვის გარემოს დაცვითი ნებართვის გაცემას აჭიანურებს. საქართველო ახორციელებს უკიდურესად გაუგებარ მოქმედებებს, ჩვენ კი ბაქო-ჯეიჰანთან დაკავშირებული ყველა საკითხი ნოემბრის ბოლომდე უნდა გადავჭრათ,"** – აცხადებს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი.

ანალოგიური პოზიცია აქვს "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" პრეზიდენტს დევიდ ვუდვორდს. მან ოფიციალური წერილით ჯერ კიდევ თვის დასაწყისში მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და სთხოვა, დააჩქაროს საქართველოს მიერ ნავთობსადენის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის წინაშე ნაკისრი ვალდებულება.

**"ჩვენ, თქვენს წარმომადგენლებთან ერთად, განვაგრძობთ ჰიდროგეოლოგიურ კვლევას და გეოლოგიური საფრთხის მონიტორინგს. ყველა სამუშაომ, რომელიც განხორციელდება უსაფრთხოების, გეოლოგიური რისკებისა და ჰიდროგეოლოგიის სფეროში, არ უნდა იმოქმედოს გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტის მიღების გრაფიკზე. თუ საჭირო გახდა, შესაძლებელია, რომ ამ ფაქტორებზე ცალკე კვლევა ჩატარდეს,"** – სწერს დევიდ ვუდვორდი პრეზიდენტ შევარდნაძეს.

ამ დროს კი ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები მილსადენის ბორჯომის ხეობაზე გატარების წინააღმდეგ გამოდიან და, გარემოს დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე, "ბიპის" მიერ დამტკიცებული მარშრუტის შეცვლას ითხოვენ. მათი განმარტებით, არსებობს ბორჯომის წყლებისა და, მთლიანად, ხეობის დაბინძურების საშიშროება. ამ საკითხთან დაკავშირებით ჰოლანდიელ, ფრანგ და ქართველ ეკოლოგ ექსპერტთა მიერ გაკეთებული დასკვნები ერთმანეთს ემთხვევა. მათ მიერ ცხრაწყარო-კოდიანას მონაკვეთი – ყველაზე სახიფათოდ, ხოლო თავად ბორჯომის მარშრუტი – ყველაზე ნაკლებსასურველად არის მიჩნეული ყველა შესაძლო მარშრუტებს შორის.

მიუხედავად ამისა, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" პოზიცია კვლავ უცვლელია: ის ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გატარებას უსაფრთხოდ მიიჩნევს და მისი მარშრუტის შეცვლას ეწინააღმდეგება.

გარემოსდაცვითი დოკუმენტი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ნოემბრის ბოლოს, "ბიპის" მიერ მინიმუმ ორი ალტერნატიული მარშრუტის დეტალური განხილვის შემდეგ უნდა მისცეს.

როგორც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე აცხადებს, **"თუ "ბიპიმ" არ წარმოადგინა ალტერნატიული მარშრუტების დეტალური განხილვის შედეგები, იძულებულნი ვიქნებით, გარემოს დაცვის დოკუმენტი მასზე გარკვეული პირობებით გავცეთ. ეს ნიშნავს, რომ "ბიპი" ვალდებული იქნება, ბორჯომის ხეობასთან მიმართებაში იმ პირობების დაცვით მოიქცეს, რომელსაც, საერთაშორისო ნორმებისა და ჩვენი ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით წარვუდგენთ."**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისთვის ბორჯომის ხეობა "ბიპიმ" უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე შეარჩია. ახალქალაქის მარშრუტი, რომელიც ბორჯომის ხეობის ალტერნატიულ მარშრუტად შეიძლებოდა ქცეულიყო, მან ერთადერთი მიზეზით უკუაგდო: ახალქალაქის რაიონში საქართველოს არ ჰქონდა მილსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკმარისი გარანტიები.

**"ზოგიერთი ახალჩამოსული ექსპერტი კვლავინდებურად სვამს კითხვას, თუ რატომ არ გაიარა მარშრუტმა ახალქალაქზე. ეს მარშრუტი უარყოფილ იქნა უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე და, ჩვენი აზრით, საჭიროა, რომ იმ ექსპერტებს, რომელთაც თქვენ უახლოეს მომავალში შეხვდებით, აუხსნათ, რომ ეს მარშრუტი ჩვენთვის მიუღებელია და მიუღებლადვე დარჩება,"** – სთხოვა "ბი-თი-სი კოს" პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა საქართველოს პრეზიდენტს.

სხვათა შორის, ქართველი და უცხოელი ექსპერტები "ბიპის" მესამე ალტერნატიულ – ყარაყაის მარშრუტსაც სთავაზობენ. მიუხედავად ამისა, "ბიპი" მარშრუტის შეცვლას მაინც არ აპირებს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პუშკინს და პუტინს უფრო მეტი ძალა აქვს, თუ ბუშს?

## "ცარსკოე სელოში" დეთნის სუნი ტრიალებდა

რუსუდან ნიკურაძე
სანქტ-პეტერბურგი. პუშკინო

პრაღის სამიტის შემდეგ პრორუსული ძალები ნატო-ს წინააღმდეგ დაირაზმნენ. ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკურ პრობლემებს საშიშად გაფართოებული სამხედრო ბლოკი კიდევ უფრო დაამძიმებს.

მაგრამ პრორუსული ძალების წარმომადგენელი ექსპერტები და ანალიტიკოსები სანქტ-პეტერბურგთან მდებარე ისტორიულ ნაკრძალად გამოცხადებულ ქალაქ-მუზეუმ პუშკინოში არ დაუპატიჟებიათ. პუშკინოს სანახებში პუტინ-ბუშის სამიტზე კრემლის თეორეტიკოსების შთამბეჭდავ დესანტს წარმოადგენდა მხოლოდ გლებ პავლოვსკისა და სერგეი კარაგანოვის სამოქალაქო დებატებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ცენტრი. ანუ ის ხალხი, ვინც უკანასკნელი წელიწადია კრემლის პროამერიკული კურსის გამომუშავებასა და რუსეთის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებაზე მუშაობს. პუშკინოს ეკატერინეს დარბაზის მიმდებარე ფლიგელში სახელდახელო პრესცენტრი გახსნეს, სადაც ჟურნალისტთა ნორმალური მუშაობისათვის მინიმალური პირობებიც კი არ შეუქმნიათ, და სადაც განკარგულებებს მხოლოდ სერგეი იასტრჟემბსკის თანაშემწე იძლეოდა. რუსი და უცხოელი ჟურნალისტების სამასკაციანი რაზმი საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიტიკოსების იმედად დარჩა - მათ უთხრეს, რომ პრეზიდენტებამდე მისვლა და შეკითხვის დასმა დაგეგმილი არ არის. არც გაფართოებული პრესკონფერენცია, რადგანაც ორი საათის შემდეგ ლორა და ჯორჯ ბუში ლიტვაში მიფრინავდნენ...

ყველას პირზე ეკერა რუსეთ-ნატოს თანამშრომლობის პერსპექტივები და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ბოლო დღეებში გაჩენილი დათბობა, რაც აშშ-რუსეთს შორის სტრატეგიული დაახლოებისთანავე დაიწყო. კარნეგის ცენტრის ექსპერტის დმიტრი ტრენინის აზრით, "რუსეთისათვის ნატო დღეიდან მხოლოდ პოლიტიკური სიტუაციების გადაჭრის მთავარი მექანიზმი გახდება. რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, ძნელი სათქმელია, რომ არსებული სიძნელეებით საქართველომ შესძლოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის


REUTERS

ჯორჯ ბუში და ვლადიმირ პუტინი პუშკინოში.

სტანდარტების დაკმაყოფილება - შევარდნაძის განაცხადი ნატო-ში გაწევრიანებაზე მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს," - ასე თვლის ექსპერტი.

აშშ-რუსეთის არნახული დაახლოება საქართველოში მათი მხრიდან სტრატეგიული ამოცანების გადასინჯვის ფონზე მიმდინარეობს. აშშ და რუსეთის პრეზიდენტები, როგორც არასდროს, ისე ვაჭრობენ სამხედრო-პოლიტიკური გარიგებისათვის, ამიტომ "ცარსკოე სელოში" შეხვედრაზე განსახილველად ორი ობიექტი იქნა გამოტანილი-ერაყი და ჩეჩნეთი. სანქტ-პეტერბურგში ჩამოსული ანალიტიკოსები ხუმრობდნენ: "ვამბობთ ჩეჩნეთი და ვგულისხმობთ საქართველოს". პოლიტოლოგი ვიაჩესლავ ნიკონოვი ჟურნალისტებს ეუბნებოდა: "საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დატოვებაზე არავითარ გავლენას არ მოახდენს ის ფაქტი, მიაკაკუნებს თუ არა ნატო-ს კარზე არშემდგარი სახელმწიფო, სადაც ხელფასებს ვერ არიგებენ, კორუფცია ჰყავის და პირველყოფილი თემური წყობილებაა." რუსი პოლიტოლოგის ასეთი ენამწარე გამონათქვამის მიუხედავად, დამკვირვებელთა აზრით, ორი ბაზის საკითხიც უშუალოდ რუშაილოს ზეწოლით გარკვეულია, მაგრამ მათი დაუყონებლივი ლიკვიდაციით რუსეთის რეაქციული სამხედრო ძალების გაღიზიანება ამ ეტაპზე არ სურთ.

პოლიტოლოგმა სერგეი მარკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა: "ნატო პოლიტიკური სიტუაციების გადამჭრელი ინსტრუმენტი იქნება - მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ოპოზიციის საკითხში - შევარდნაძის ოპონენტებს შეახსენებენ, რომ აშშ გეოპოლიტიკური უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის გარანტიას სხვა ლიდერსაც მისცემს, თანაც საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება – ნატო-ს სტანდარტებამდე მისასვლელად მომავალ ლიდერებს საკუთარი ეთნოკონფლიქტების ჩაქრობა მოუწევთ და რაც მთავარია, რუსეთთან გაფუჭებული ურთიერთობების გამოსწორება. ამ მომენტის დადგომამდე საქართველოს ნატო-ში არავინ ელის."

უთანხმოებების გადასალახავად პრაღიდან სანქტ-პეტერბურგამდე რამდენიმე საათი არ კმაროდა, მაგრამ აშშ პრეზიდენტმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იგორ ივანოვს საკუთარი "ბოინგი" მაინც შესათავაზა. ასე რომ, ივანოვი და ბუში რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალაქის მიწაზე ერთად დაეშვნენ. ბუში და ივანოვი ერთ თვითმფრინავში - დამკვირვებლებმა ეს ჟესტი უმალ მონათლეს პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის და კერძოდ მისი თავკაცის სერგეი პრიხოდკოს პიარ-აქციად. პრიხოდკოს მხარი ამერიკელმა კოლეგებმა დაუჭირეს. დიპლომატიური ეტიკეტი სამხედრო-პოლიტიკური შეფერილობის აღმოჩნდა და ორი პრეზიდენტის შეხვედრამდე, ექსპერტების აზრით, საჭირო ფონი შექმნა.

"ცარსკოე სელოს" სამიტის მთავარი თემა ოფიციალურად საერთაშორისო ტერორიზმი, გლობალური საფრთხე და რუსეთ-აშშ სტრატეგიული თანამშმრომლობა იყო, მაგრამ შემფასებლების თქმით, საუბარი მხოლოდ ერაყში დაგეგმილ ომს და ჩეჩნეთის პრობლემას შეეხებოდა. პრეზიდენტებმა ისაუბრეს დუბროვკაზე ტერაქტის პოლიტიკურ შედეგებზე, რასაც უკვე სამხედრო შედეგებიც დაერთო. მართალია, სამიტის შემდეგ პრეზიდენტებს ამაზე კონკრეტულად არაფერი უთქვამთ, მაგრამ გაკეთებული განცხადებების მიხედვით, ომი ერაყში გარდაუვალია. სამაგიეროდ, ომი ჩეჩნეთში არ გაგრძელდება - ანუ თუ რუსეთს საკუთარ ტერიტორიაზე პოლიტიკური მეთოდით ბრძოლა მოუწევს, ერაყში პრობლემის გადაჭრის ძალისმიერ გზას მხარი უნდა დაუჭიროს. რუსმა ექსპერტებმა ასეთი განცხადების შემდეგ ჩათვალეს, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკაში ადგილი აქვს ორმაგი სტნადარტების პრივილეგიას, ანუ ერაყში ომის თაობაზე ვაშინგტონს გამოკვეთილი პოზიცია არ გააჩნია.

"ერაყის თაობაზე აშშ-რუსეთის თვალსაზრისი არ ემთხვევა, მოსკოვის პოლიტიკურ წრეებს არ ახარებს ნატო-ს გაფართოება, არის პრობლემები სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, მაგრამ უკვე ჩამოყალიბდა მოსკოვ-ვაშინგტონის პარტნიორობის გარკვეული მოდელი, რაც მოსკოვში ტერაქტის შემდეგ გამოიკვეთა და მოკლედ მას ასე ეწოდება - საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა ყველგან, საიდანაც კი მოდის მისი საფრთხე,"- აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი.

ბუში–პუტინის განცხადებები დამკვირვებლებს აფიქრებინებს, რომ პუტინის სამშობლოში მდიდრული შეხვედრის შემდეგაც კი ბუშის საგარეოპოლიტიკური დოქტრინა პუტინისას ეწინააღმდეგება. მთავარი კონფლიქტი ნატო-შია, თორემ კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაჭრის მომხრე კრემლი იყო და იქნება, ოღონდ საკუთარ ტერიტორიებად მიჩნეულ მიწაზე. ის ფაქტი, რომ სანქტ-პეტერბურგის შეხვედრაზე ერაყის განიარაღების გვერდით დადგა ირანისა და ჩინეთის საკითხიც, ექსპერტთა აზრით სხვა არაფერია, თუ არა ამერიკის ადმინისტრაციის დაუფარავი მცდელობა, განაიარაღონ პირველ რიგში რუსეთი. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ რუსეთის კომუნისტური პარლამენტი ბუში-პუტინის შეხვედრის პარალელურად ქვეყნის ბიუჯეტზე მსჯელობდა, სადაც სამხედრო ხარჯების არნახულ გაზრდაზეა საუბარი.

"შემთხვევითი არ არის, რომ მოსკოვში დუბროვკაზე ტერაქტის შემდეგ ამერიკამ იწყო რუსეთში საერთაშორისო ტერორიზმის ადექვატური შეფასება, მაგრამ ის მეთოდები, რაც ვაშინგტონისათვის მისაღებია, პრაქტიკულად დახურულია მოსკოვისათვის და ამაშია პრეზიდენტთა დღევანდელი სამიტის მთავარი წინააღმდეგობა. თუ შეიძლება ვაშინტონისათვის, რატომ არაა მისაღები იგივე მოსკოვისათვის?" - ასეთი შეკითხვა დასვა სამიტის დასრულებისთანავე კრემლის იდეოლოგმა პავლოვსკიმ, რომელიც დააკმაყოფილა ბუში-პუტინის დიალოგის შედეგმა, მაგრამ შეურაცხყო ჩეჩნეთის პრობლემის საომარი გზით გადაჭრის აკრძალვამ.

პუტინის ისტორიულ სამშობლოში უმაღლეს დონეზე ჩატარებული პრეზიდენტთა არაფორმალური სამიტი რუსეთის უშიშროების საბჭოს აბსოლუტური მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა, ანუ ვლადიმირ პუტინის გვერდით ვლადიმირ რუშაილოს ზედმეტმა აქტიურობამ სამიტის კულუარებში გააჩინა მოსაზრება, რომ რუსეთი დღეიდან ჩეჩნეთთან დამოკიდებულებაში ვაშინგტონის ზეწოლით პოზიციას შეარბილებს - ამაზე მეტყველებს დანიაში განახლებული ჩეჩენთა კონგრესიც. ხოლო ნატო-ს გაფართოების მოწინააღმდეგე პრორუსული ძალები სამიტის შემდეგ აღნიშნავენ, რომ რუსეთისათვის აშშ-სთან სტრატეგიული დაახლოება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტებას ნიშნავს - პირველ რიგში ირანთან და ჩინეთთან დამოკიდებულების გადახედვას. ეს კი რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლესისათვის სიკვდილის ტოლფასია. მთავარი დათმობა კი ერაყის საკითხში რუსეთის სრული კაპიტულაციაა, სწორედ ამიტომ რუსი სამხედრო ექსპერტების თქმით, რუსეთის სტრატეგიული ინტერესების ზონებში პოზიციების დათმობა აშშ-რუსეთის ურთიერთობაში უკანგადაგმული ნაბიჯია, რაც იგივე სამიტის კულუარებში შეფასდა, როგორც რუსეთის დიპლომატიური მარცხი.

# ნატო-ს ახალი წევრები მილოცვებს იღებენ

პირველი გვერდიდან

ეკისრებოდა იმ ქვეყნების წინაშე, რომლებიც ნახევარი საუკუნის წინ ჯერ გერმანიასა და შემდეგ რუსეთს ჩაუგდო ხელში. "ლიტველთა სიმამაცე დაჯილდოვდა ყველა დროის უძლიერეს ალიანსში გაწევრიანებით, – განაცხადა ბუშმა, – ლიტვა იმ ხალხის სიმბოლოა, ვინც წინ აღუდგენ ტირანიას და თავისუფლებისათვის იბრძოლეს". აღსანიშნავია, რომ ბუში ბალტიისპირეთში სანქტ-პეტერბუგიდან ჩამოვიდა.

ლიტვის პრეზიდენტმა ბუში ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი, ვიტაუტას დიდის ორდენით დააჯილდოვა და საპასუხს საჩუქრის სახით, კალათბურთის ბურთი მიიღო მაიკლ ჯორდანის ავტოგრაფით.

მას შემდეგ, რაც პრაღის სამიტზე, 7 ქვეყანა ფორმალურად მიიწვიეს ალიანსში (მათი საბოლოო გაწევრიანება 2004 წლის გაზაფხულისათვის არის დაგეგმილი, როდესაც ნატო-ს ყველა წევრი ქვეყნის პარლამენტი მოახდენს გაფართოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების რატიფიკაციას), აშშ-ის მაღალი თანამდებობის პირები ინტენსიურად მოგზაურობენ ახალმიღებულ ქვეყნებში. თუმცა, ამას არა მხოლოდ საზეიმო ხასიათი აქვს.

ლიტვიდან ბუში რუმინეთში აპირებს გამგზავრებას, თავდაცვის მინისტრი რამსფელდი კი სლოვენიას ეწვია.

სლოვენია ერთ-ერთ სამაგალითო პოსტკომუნისტურ ქვეყნად მიიჩნევა. ორმილიონიანი პატარა ალპური ქვეყანა, რომელიც იუგოსლავიის დაშლის შედეგად წარმოიშვა, აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე მდიდარი და დემოკრატიული სახელმწიფოა. ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ მას მოუწევს, შეიარაღებული ძალების რიცხვი 5 ათასიდან 18 ათასამდე გაზარდოს. ნატო თავდაცვის ხარჯების ზრდასაც მოითხოვს. სტანდარტული სამხედრო ბიუჯეტი ახალმიღებულ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტს შეადგენს (საქართველო თავდაცვაზე ამაზე სამჯერ ნაკლებს ხარჯავს). ქვეყნის მოსახლეობის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ალიანსში გაწევრიანება მხოლოდ ზედმეტ ხარჯებს ნიშნავს. თუმცა, მეორე ნაწილის აზრით, როდესაც სტაბილური და უსაფრთხო გარემოს ყველა სიკეთით სარგებლობ, ამაში შენი წვლილიც უნდა შეიტანო.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტი, ნატო-ს ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენს. მაგრამ, სამხედრო ექსპერტების აზრით, ახალ წევრებს მაინც შეუძლიათ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლის შესრულება. ყველა ქვეყანას შეუძლია, თავის თავზე აიღოს რაიმე სპეციფიკური ფუნქცია. მაგალითად, ჩეხეთი ტრადიციულად ძლიერია ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღისაგან თავდაცვის საშუალებების გამოყენებაში, სლოვენიას – ძლიერი სადესანტო ნაწილები ჰყავს. ნატო ამ ქვეყნებს ფაქტობრივად აძლევს გარანტიას, რომ მათ მარტო ომი აღარ მოუწევთ, სამაგიეროდ, მათგან ითხოვს, კიდევ უფრო გააძლიერონ ეს სპეციფიკური შესაძლებლობები და ისინი ალიანსის სამსახურში ჩააყენონ.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ვიზიტისას ამერიკელები მუდმივად ამახვილებენ ყურადღებას ინფორმაციის უსაფრთხოებისა და კორუფციის საკითხებზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ქვეყანასთან პენტაგონი ერიდებოდა კონფიდენციალური შეთანხმებების დადებას, რადგან შეუძლებელი იყო იმის პროგნოზირება, ვის ხელში აღმოჩნდებოდა შემდეგ ეს ინფორმაცია. კორუფციის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იყო სლოვაკეთში გამართულ შეხვედრებზე.

ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ ნატო-ში ახლადმიღებული წევრები ამერიკა-ევროპის ტრადიციული კინკლაობისას უფრო ამერიკის მხარეს დაიჭერენ. ესტონეთის თავდაცვის მინისტრის, სიიმ კალასის განცხადებით, ტალინისათვის სრულიად აშკარაა, როგორ უნდა მოიქცეს ის ერაყთან ომის შემთხვევაში. ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ შედეგი, რომელიც მოჰყვა დასავლეთის მხრიდან რუსეთის მოქმედებებზე თვალის დახუჭვას, - განაცხადა მან, – თავისუფალ ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება, ყოველთვის თავისუფლების მხარეს დადგნენ".

უეჭველია, რომ ნატო-ს წევრობა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები არაერთხელ გახდება სერიოზული პოლიტიკური დებატების საგანი ახალ ქვეყნებში. სადამდე შეიძლება თავდაცვითი ბიუჯეტის გაზრდა სხვა სფეროების დაფინანსების ხარჯზე, როდესაც არმია ფაქტობრივად აღარაფერში გჭირდება; უნდა მიიღო თუ არა მონაწილეობა სახლიდან ათასობით კილომეტრის მოშორებით ალიანსის მიერ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციაში; ვისი მხარე უნდა დაიკავო, როდესაც ამერიკა ერთ მხარეს იდგება და საფრანგეთი და გერმანია მეორე მხარეს – ის საკითხებია, რომელთა ირგვლივ უთანხმოებამაც შეიძლება მთავრობები დაამხოს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, იგი მხოლოდ დეტალია იმ უზარმაზარ სარგებელთან შედარებით, რასაც ნატო-ს წევრობა აძლევს პატარა ქვეყანას – გადარჩენის გარანტიას.

**P.S.** აღსანიშნავია, რომ საქართველომ შეიძლება პირდაპირი ხეირიც ნახოს ამ შვიდი ქვეყნის გაწევრიანებიდან. როგორც ცნობილია, ამერიკელები ახალ ქვეყნებს სთხოვენ, მონაწილეობა მიიღონ "წრთვნისა და აღჭურვის" პროგრამის აღჭურვის ნაწილში. რადგან ეს ქვეყნები ეტაპობრივად დასავლურ შეიარაღებაზე გადადიან, მათ მოუწევთ, ნელ-ნელა თავიდან მოიცილონ თავიანთ არსენალში მყოფი რუსული იარაღი, რომელიც მათთვის კია მოძველებული, მაგრამ ჩვენთვის შეიძლება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა იყოს.




# ებრაელ და ქართველ მეცნიერთა სემინარი ისრაელში

შოთა უტიაშვილი

მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს თელ-ავივის უნივერსიტეტში გაიმართა სემინარი ებრაელ და ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით თემაზე: "გეოპოლიტიკა და ეკოლოგია საკონფლიქტო რეგიონებში".

„24 საათის" რედაქციაში სტუმრად მყოფმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის გამგემ სოსო სალუქვაძემ და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის წამყვანმა ექსპერტმა არჩილ გეგეშიძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნეს სემინარის მნიშვნელობა, თუმცა ინტერვიუ მხოლოდ სემინარის შესახებ საუბრით არ შემოფარგლულა.

**- ბატონო სოსო, ბატონო არჩილ, ორი სიტყვით თუ შეიძლება გვითხარით, როდის და როგორ დაიწყო ებრაელ და ქართველ მეცნიერებს შორის ეს თანამშრომლობა?**

**ს. სალუქვაძე:** თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ღონისძიების ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, პროფ. რევაზ გაჩეჩილაძე. აღსანიშნავია, რომ ამგვარი სემინარი უკვე მეორედ ჩატარდა. პირველად ქართველი და ებრაელი გეოგრაფები ჯერ კიდევ ორი წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში და უკვე მაშინ გადაწყდა, რომ საფუძველი ჩაეყრებოდა მეტად საინტერესო ტრადიციას და რომ მსგავსი სემინარები პერიოდულად გაიმართებოდა ისრაელსა და საქართველოში.

**ა. გეგეშიძე:** მინდა თავიდანვე აღვნიშნო, რომ სემინარი საერთო შეფასებით წარმატებული აღმოჩნდა და ეს სხვასთან ერთად ისრაელში საქართველოს საელჩოს მაღალპროფესიული კოლექტივის მხრიდან გაწეულმა ლოგისტიკურმა მხარდაჭერამაც განაპირობა. არ შეიძლება, განსაკუთრებით არ გაესვას ხაზი პირადად ელჩის, პროფ. რ. გაჩეჩილაძის ძალისხმევას. მისი თაოსნობით ისრაელში საქართველოს საელჩო ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ეს სავსებით ბუნებრივია. ისრაელი ხომ სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით მსოფლიოს მოწინავე ქვეყანათა შორის არის. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით ცოტა აქვთ დასაკვეხნი უცხოეთში ჩვენი ქვეყნის სხვა საელჩოებს.

**- სანამ სემინარზე და მის მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ, იქნებ ორი სიტყვით თავად ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების თაობაზე შექმნილი შთაბეჭდილებები გაგვიზიაროთ? ჩვენამდე მეტად დამთრგუნველი ინფორმაცია მოდის.**

**ა. გეგეშიძე:** ისრაელი დღეს მეტად საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს. ერთის მხრივ, მიმდინარე ინტიფადა მართლაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის ქვეყანაში, მათ შორის, პიროვნების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. "თვითმკვლელი ბომბები" ის იარაღია, რაც, სასოწარკვეთილი პალესტინელების აზრით, ისრაელის ძლევამოსილი შეიარაღებული ძალების და უშიშროების სტრუქტურების წინააღმდეგ ბრძოლას შესაძლებელს ხდის. ჩვენს იქ ყოფნაში მორიგი ტერაქტი მოხდა ქვეყნის ჩრდილოეთში, რასაც 5 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ქალაქებში გარეგნულად რაიმე დაძაბულობა არ იგრძნობა, მით უმეტეს, პანიკა. მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ალბათ, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღება, რასაც ჩვეულებრივ ვერ ამჩნევ. მეორეს მხრივ, ქვეყანა ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმით ცხოვრობს. ყველა სამსახური, იქნება ეს სახელმწიფო, კომუნალური თუ მომსახურების სფერო, გამართულად მუშაობს. ერთადერთი, რაც ინტიფადას შედეგად თვალში გეცემათ, ეს არის უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები აეროპორტში და "თვითმკვლელი ბომბების" მსხვერპლთა მოსაგონარი ტელეგადაცემების სევდიანი ტონი.

**ს. სალუქვაძე:** და კიდევ ერთი, რაც ასევე შესამჩნევია და, როგორც ამბობენ, ეროვნულ ეკონომიკას სერიოზულად აზარალებს, ეს არის ქვეყანაში ჩამომსვლელ ტურისტთა მკვეთრად შემცირებული რაოდენობა. ცარიელი სასტუმროები და რელიგიურ წმინდა ადგილებზე არაჩვეულებრივი სიხალვათე ამის თვალსაჩინო დასტურია. როგორც ჩვენმა კოლეგებმა გვითხრეს, დღეს 2 მილიონით ნაკლები ტურისტი ჩადის ისრაელში წლის განმავლობაში, რაც ქვეყნის მასშტაბებისთვის საკმაოდ დიდი ციფრია. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანწილად ტურისტული ნაკადების შემცირება ე.წ. CNN-ის ეფექტითაც არის განპირობებული. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მსმენელს სისტემატურად "ბომბავენ" ნეგატიური ცხელი ამბებით და არაფერს ამბობენ ცხოვრების ჩვეულ რიტმზე, სიცოცხლით სავსე ქუჩებზე თელ-ავივსა თუ ხაიფაში, დასავლური და აღმოსავლური მუსიკის ჰანგების მონაცვლეობაზე ახალგაზრდებით სავსე კაფეებსა თუ ბარებში. თუმცა, საერთო ვითარება საკმაოდ რთულია და ამას მეტად სერიოზული მიზეზები აქვს.



სემინარის მონაწილეები.

**- კვლავ სემინარის თემას დავუბრუნდეთ. თქვენს გარდა ვინ მიიღო მონაწილეობა სემინარის მუშაობაში და, საერთოდ, საკითხთა რა წრე მოიცვა ორივე მხრიდან წარმოდგენილმა მოხსენებებმა?**

**ს. სალუქვაძე:** სემინარის მუშაობაში 6 ქართველმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის - თავად პროფ. გაჩეჩილაძემ. მონაწილეთა შორის იყვნენ, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი მირიან თოფჩიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე ზურაბ დავითაშვილი და ამავე უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის დოცენტი ფერიდე ზურიკაშვილი. ისრაელის მხარეს თელ-ავივის და ხაიფას უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები წარმოადგენდნენ. ბევრი მათგანი საკმაოდ ავტორიტეტული მეცნიერია და ქვეყნის ფარგლებს გარეთაც არის ცნობილი.

**ა. გეგეშიძე:** სემინარმა საკმაოდ ფართე სპექტრის თემატიკა მოიცვა, კერძოდ, ქართველი მონაწილეების მიერ წაკითხულ იქნა მოხსენებები გეოპოლიტიკურ, გენდერულ, ქალაქგეგმარებით და მიწის გამოყენების საკითხებზე, აგრეთვე, საქართველოს სეისმურ თავისებურებებზე ეროვნული უსაფრთხოების კუთხით. მეტად საინტერესო იყო ებრაელი კოლეგების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები, რომლებიც სხვასთან ერთად ისრაელის სახელმწიფოს მშენებლობის ტერიტორიული, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური ასპექტების ანალიზს მოიცავდა და განსაკუთრებით ინფორმატიული იყო ქართველი მეცნიერებისთვის.

**- ბატონო სოსო, თქვენ ბრძანეთ, რომ ამგვარი სემინარები კვლავაც ჩატარდება. მაინც, რა სარგებელი აქვთ მათ და გარდა სემინარული მუშაობისა, სამომავლოდ ორი ქვეყნის მეცნიერთა შორის თანამშრომლობის სხვა ფორმებზეც ხომ არ ყოფილა საუბარი?**

**ს. სალუქვაძე:** პირველ რიგში, ამგვარ სემინარებს აქვთ ინფორმატიული ხასიათი და ეს უკვე არსებითია. გარდა იმისა, რომ ხდება ვაკუუმის შევსება წმინდა ოპერატიული ინფორმაციის დონეზე, მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტების ენაზე ქვეყანაში არსებული ფაქტებისა და მიმდინარე მოვლენების ახსნა. ამგვარი ანალიზი, როგორც წესი, არ არის ხელმისაწვდომი პარტნიორებისათვის. მაგალითად, ჩვენ ძირითადად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვიღებთ ცნობებს ისრაელიდან, მათ შორის კონფლიქტის მიმდინარეობაზე, მისი მოგვარების პერსპექტივებზე, აგრეთვე, ისრაელის მთავრობის დემოგრაფიულ პოლიტიკაზე და ა.შ. ჩვენი წარმოდგენები აღნიშნულ საკითხებზე კონკრეტული საინფორმაციო წყაროს იდეოლოგიაზე ან ჟურნალისტის კვალიფიკაციაზე, მის მიერ ამა თუ იმ მოვლენის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე დიდად არის დამოკიდებული. სემინარზე აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ, რაც გვეგონა, რომ სწორად გვესმოდა ან ამომწურავად ვიცოდით, დამატებით ახსნას და უფრო სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს. იგივე შეიძლება ითქვას ებრაელ კოლეგებზე. ბევრი რამ, რაც ქართველმა მეცნიერებმა კავკასიის გეოპოლიტიკაზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრეს, ებრაელი კოლეგებისთვის ახალი იყო. მეორეც, ინფორმატიული მნიშვნელობის გარდა, ამ სემინარს მეცნიერული ღირებულებაც ჰქონდა. მაგალითად, ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო ებრაელი კოლეგების მიერ მიღებული შედეგები კვლევის ისეთი თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, როგორიც არის გეოინფორმაციული სისტემები და ა.შ.

**ა. გეგეშიძე:** დამატებით აღვნიშნავ, რომ ებრაელ და ქართველ მეცნიერებს შორის თანამშრომლობას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ამგვარი თანამშრომლობა აღრმავებს, ავსებს, მრავალფეროვანს ხდის ორმხრივ ურთიერთობებს. მეცნიერების ენაზე გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებით სასარგებლოა საქართველოსთვის. აბსოლუტური ანალოგიის გავლება ორ ქვეყანას შორის, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ მიუხედავად მთელი რიგი პარამეტრებით სხვაობისა, ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ და გავითვალისწინოთ ისრაელის გამოცდილებიდან. ვფიქრობ, ცალკე საუბრის, უფრო მეტიც, სერიოზული შესწავლის თემა უნდა იყოს ის, თუ როგორ მოახერხა ისრაელმა უაღრესად შეზღუდული ტერიტორიული, ბუნებრივ-კლიმატური რესურსების პირობებში, არასახარბიელო დემოგრაფიული ვითარების ფონზე, რასაც თავის მხრივ ამძიმებს ისრაელ-პალესტინის დაუსრულებელი კონფლიქტი და მტრული, მუსლიმური სამეზობლო, მიეღწია განვითარების მეტად მაღალი საფეხურისთვის.

**ს. სალუქვაძე:** რაც შეეხება ორი ქვეყნის მეცნიერებს შორის თანამშრომლობის სხვა ფორმებს, გამოიკვეთა ერთობლივი კვლევითი პროექტების შესრულების პერსპექტივა, აგრეთვე, გამოითქვა მზადყოფნა ებრაელი სპეციალისტების მიერ საქართველოში სხვადასხვა სასწავლო კურსების ჩატარების თაობაზე.

**- თავად სემინარის გარდა, ისრაელში თქვენი ყოფნა ითვალისწინებდა თუ არა სხვა ღონისძიებებშიც მონაწილეობას?**

**ს. სალუქვაძე:** პროგრამა, რომელიც ჩვენთვის უნივერსიტეტელმა კოლეგებმა მოამზადეს, სემინარის გარდა ითვალისწინებდა თელ-ავივის, იერუსალიმის, ხაიფას და ბეერშევას დათვალიერებას, შეხვედრებს ადგილობრივ უნივერსიტეტებში და კვლევით ცენტრებში. ბევრი სამომავლო პროექტი, რომელიც ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს, სწორედ აღნიშნული შეხვედრების დროს იქნა განხილული.

**ა. გეგეშიძე:** ისრაელი თავისი ფართობით საქართველოს ტერიტორიის, დაახლოებით, 30 პროცენტია. ისრაელი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. ამავდროულად, ისრაელი, ალბათ, მსოფლიოში პირველია თითოეულ კვადრატულ მეტრზე პოლიტიკური ინტერესების კონცენტრაციის და კონკურენციის ხარისხით. ამდენად გეოპოლიტიზირებული და მითოლოგიზირებული ისტორიის მქონე ქვეყანა სხვა არც არის. ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის, საკუთრივ სემინარის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქვეყანაში პროგრამით გათვალისწინებული მოგზაურობა და საყოველთაოდ ცნობილი წმინდა ადგილების თუ გეოპოლიტიკურად და ისტორიულად საჭიჯგნი ქვების, როგორიცაა იერუსალიმის ძველი ქალაქი თუ კინერეთის ტბის მიდამოები ცნობილი გოლანის მაღლობითურთ, მონახულება და მათთან დაკავშირებით ჩვენი მასპინძლების მხრიდან ეროვნული ღირსებით, ტაქტითა და კომპეტენტურობით გამორჩეული კომენტარების მოსმენა.

# კანონი კანონია!

*გთავაზობთ აშშ-ს კანონმდებლობის რამდენიმე კურიოზულ მუხლს, იმის დასტურად, რომ აშშ მართლაც დემოკრატიის აკვანია.*

აიოვას შტატის ქალაქ ოტტუმვაში მამაკაცს უფლება არ აქვს, თვალი ჩაუკრას უცნობ ქალს.

ლოს ანჟელესში არსებობს დადგენილება, რომლის თანახმად - ერთ აბაზანაში ორი პატარა ბავშვის ერთდროულად დაბანა აკრძალულია.

ქალაქ ზაიონში აკრძალულია შინაური ცხოველებისთვის ანთებული სიგარეტის მიცემა.

ნიუ-იორკის შტატის ქალაქ კარმელეში მამაკაცებს პიჯაკთან შორტების ჩაცმა ეკრძალებათ.

სენტ ლუისში აკრძალულია სანაპიროზე ჯდომა და ვედროდან ლუდის დალევა.

ხარტფორდში აკრძალულია ქუჩაზე ხელებით გადასვლა.

ბალტიმორში აკრძალულია მეორე სართულიდან გამხმარი ბალახის გადმოყრა.

ნიუ მექსიკოს შტატის ქალაქ კარიზოზში ქალებს (და არა კაცებს) ეკრძალებათ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გაუპარსავი გამოჩენა.

მიჩიგანში ქალებს ეკრძალებათ ქმრის ნებართვის გარეშე თმის შეჭრა.

კენტუკში ქალებს გზატკეცილზე საცურაო კოსტიუმით სიარული ეკრძალებათ. გამონაკლისი დაიშვება, როცა ქალს ორი პოლიციელი ახლავს, ან ხელში ჯოხი უჭირავს.

პენსილვანიაში ღამით სოფლის გზაზე მოძრაობისას მძღოლი ვალდებულია, ყოველი ერთი მილის გავლის შემდეგ ჰაერში მაშხალა ისროლოს და 10 წუთი მოიცადოს, რათა გადასვლის საშუალება მისცეს ცხოველებს, რომლებიც, შესაძლოა, გზაზე იდგნენ.

### სხვა ქვეყნებში

ავსტრალიის პროვინციაში (ვიქტორია) გადამწვარი ნათურების გამოცვლის უფლება აქვთ მხოლოდ ელექტრიკოსებს.

იტალიაში მამაკაცს, რომელიც ქუჩაში ქალის კაბით გამოვა, დაპატიმრება ემუქრება.

საფრანგეთში აკრძალულია რკინიგზის ლიანდაგებზე კოცნაობა.

საფრანგეთში სასტიკად აკრძალულია ღორისთვის ნაპოლეონის დარქმევა.

## მოკლედ

**თბილისი**. გუშინ ქართველმა მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა გიორგობის დღესასწაული აღნიშნეს. ქვეყნის ყველა მართლმადიდებელ ტაძარში წმინდა გიორგის წამების დღის აღსანიშნავად წირვა-ლოცვა აღევლინა. თბილისის წმინდა გიორგის სახელობის ქაშუეთის ეკლესიაში წირვა-ლოცვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჩაატარა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წყალტუბო.** რამდენიმე დღის წინ წყალტუბის რაიონის სოფელ მაღლაკში ჯილეხით დაავადების შემთხვევა აღინიშნა. 40 წლის ერისტო გაბიანი, იმერეთის ინფექციური პათოლოგიების ცენტრში ძალზე მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს. გაბიანს დაავადებული დეკეულის დაკვლაში მიუღია მონაწილეობა. ინფექცია ორგანიზმში ჭრილობიდან შეეჭრა. ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. როგორც შემდეგ გაირკვა, დაავადებული საქონლის ხორცი რესტორანში ჩაუბარებიათ. ინფექციური პათოლოგიის ცენტრის ექიმის ნანა გონგაძის თქმით, სოფელი მაღლაკი ჯილეხით დაავადების საფრთხის წინაშე ყოველთვის დგას. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იმერეთის რეგიონში ძალზე გავრცელდა ციმბირული წყლული. დაავადების ერთ-ერთი კერა კი სწორეს მაღლაკში არსებული დაავადებული საქონლის სამარხია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოში მცხოვრები ქურთების ლიდერები, შეიხი თენგიზ ქამილი და ქერიმ ანკოსი შეიარაღებული ბრძოლის მუქარით გამოდიან. ისინი საქართველოს ხელისუფლებისგან ქურთული თეატრის გახსნას, ქურთული ძეგლების რესტავრირებას, ტელევიზიასა და რადიოში ქურთული გადაცემების გაშვებას ითხოვენ. თენგიზ ქამილი აცხადებს, რომ საქართველოში იწყება ბრძოლა თავისუფლებისათვის. დამოუკიდებელი ქურთების სახელმწიფოში 40 მილიონი ადამიანია, ამიტომ საქართველოსათვის არ იქნებოდა ურიგო, ეფიქრა ამაზე. "ჩვენ კარგად უნდა მოგვეპყრან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში ახალი აბდულა ოჯალანი გაჩნდება," - განაცხადა ქერიმ ალკონსიმ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. გაზის მიწოდება "თბილგაზის" 70 ათასს აბონენტს აღუდგა. როგორც "თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა თენგიზ არშილავამ განაცხადა, გუშინ ბუნებრივი აირი საბურთალოს რაიონის ბახტრიონისა და საბურთალოს ქუჩების, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის წყალტუბოს, მირცხულავასა და აღმაშენებლის ქუჩების მცხოვრებლებმა მიიღეს. მისი განცხადებით, დღეიდან "თბილგაზი" დანარჩენი უბნების ჩართვაზე მობილიზებული ძალებით იმუშავებს და გაზს ისანი-სამგორის რაიონის ნაწილს, საბურთალოზე ვაჟა-ფშაველასა და ასათიანის ქუჩებს, ზემო ვეძისსა და დიდი დიღომსაც მიაწვდიან. **კავკას-პრესი.**

*სამართალი*

# პატიმარი ძმები სასიკვდილოდ საკუთარი ბანდის წევრმა გაიმეტა

თამარ კაციტაძე

ცნობილი ბანდის "თავლიების" თავკაცები, ძმები კობა და ილია მიქელთაძეები საკუთარ ბანდაში არსებულ განხეთქილებას შეეწირნენ.

დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის (ქუთაისში პოლიციელი მოკლეს), ყაჩაღობის, ადამიანის გატაცების და სხვა მძიმე დანაშაულებისათვის ძებნილი ჯგუფის ოთხი წევრი პოლიციამ რამდენიმე თვის წინ დააპატიმრა და მათ ამჟამად უზენაეს სასამართლოში ასამართლებდნენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სასამართლოზე გამოაშკარავდა ბანდის ის წევრი, რომელმაც პოლიციას პირველმა მისცა ჩვენება, რის საფუძველზეც, ფაქტობრივად, ჯგუფის დანარჩენი წევრებიც დააკავეს. ამის გამო "თავლიების" წევრებს შორის კონფლიქტი დაიწყო. მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, საპყრობილის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ძმები მიქელთაძეები და ავთანდილ კერვალიშვილი და ზვიად სახამბერიძე სხვადასხვა კამერებში ჰყავდათ. მაგრამ მკვლელობის ღამეს ერთ-ერთმა მორიგემ (ჯერჯერობით, მისი ვინაობა დაუდგენელია) ძმები სახამბერიძის და კერვალიშვილის საკანში შეიყვანა. ბანდის წევრებს შორის დაწყებული "საქმის გარჩევა" უმცროსი ძმის კობა მიქელთაძის მკვლელობით და ილია მიქელთაძის დაჭრით დასრულდა. როგორც დადგინდა, ძმებს პისტოლეტიდან ზვიად სახამბერიძემ ესროლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბს 21 პატიმარი შეესწრო, დღემდე გაურკვეველია, ვის ეკუთვნოდა ცეცხლსასროლი იარაღი და საიდან გაჩნდა იგი პატიმრების ხელში. როგორც სახამბერიძე და კერვალიშვილი ირწმუნებიან, კამერაში პისტოლეტი ძმებმა შეიტანეს. ამ ვერსიას ეჭვის თვალით უყურებენ სამართალდამცველები. ჩვენი ინფორმაციით, მკვლელობა ქურდების კამერის გვერდით კამერაში მოხდა. "თავლიების" წევრებს კი სწორედ საპყრობილეში მოსალოდნელი "სასამართლოსი" ეშინიათ, რადგან "ქურდული კანონებით", თურმე, ციხეში ცეცხლსასროლი იარაღით საქმის გარჩევა და მით უმეტეს, მკვლელობა, მიუღებელი ყოფილა.

# მკვლელობაში ეჭვმიტანილი პროკურატურას ჩაბარდა

ექვსი წლის წინ, 1996 წლის 26 იანვარს ახმეტის რაიონში "წითელი ჯვრის" ავტომობილით მიმავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები ომარ ბაწეიშვილი და იური ელიე დაჭრეს. თავდასხმის მიზეზი, ფაქტობრივად, გაურკვეველი დარჩა.

როგორც დაზარალებულები იხსენებდნენ, ავტომატით შეიარაღებულმა პირმა ავტომობილის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა, მაგრამ დამნაშავეს "წითელი ჯვრის" წარმომადგენლებისთვის არც ავტომობილი და არც სხვა პირადი ნივთები არ წაურთმევია. იგი შემთხვევის ადგილს ისე გაეცალა, რომ მანქანას არც მიახლოებია.

გამოძიება ახმეტის რაიონის პროკურატურამ დაიწყო. დანაშაულის ადგილიდან ამოღებულ ავტომატის ტყვიებზე ბალისტიკური ექსპერტიზა დაინიშნა, დაიკითხნენ როგორც დაზარალებულები, ასევე სხვა მოწმეებიც, მაგრამ კონკრეტული დამნაშავის დადგენა იმ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

აღნიშნული დანაშაულიდან რამდენიმე თვეში, 24 აგვისტოს ახმეტის რაიონის სოფელ საკობში დაუდგენელმა პიროვნებამ ავტომატით პოლიციის თანამშრომელი გელა ლუბიანური მოკლა.

რაიონის პროკურატურამ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ტყვიებზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებით "წითელი ჯვრის" წარმომადგენლებზე თავდასხმის დროს გამოყენებული ავტომატი ამოიცნო და ორივე დანაშაულში ეჭვმიტანილად ახმეტელი ზელიმხან გაორგაშვილი გამოაცხადა.

ექვსწლიანი ძებნის შემდეგ ყაჩაღობაში, ადამიანის მკვლელობაში, მკვლელობის მცდელობაში და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაში ეჭვმიტანილი გაორგაშვილი რაიონის პროკურატურაში საკუთარი ფეხით გამოცხადდა.

რამდენიმე დღის წინ "წითელი ჯვრის" წარმომადგენლებზე თავდასხმისა და პოლიციელების მკვლელობის საქმის გამოძიება განახლდა. თუმცა, როგორც ახმეტის პროკურორმა ზურაბ ზურაბაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: **"გამოძიებას გაორგაშვილის ბრალეულობასთან დაკავშირებით ძალიან მწირი სამხილი გააჩნია. არ არის გამორიცხული, ეჭვმიტანილს საერთოდ არ ჰქონდეს კავშირი არც ერთ დანაშაულთან".** რაც შეეხება ექვსწლიანი მიმალვის ფაქტს, პროკურორი გვიხსნის – **"ამ ხნის განმავლობაში გაორგაშვილი რუსეთში იმყოფებოდა და არ იცოდა, რომ მასზე ძებნა იყო გამოცხადებული".**

ერთი სიტყვით, გამოძიება გრძელდება. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორის სიტყვები გამართლდება და გაორგაშვილს სავარაუდო დამნაშავის სტატუსი მოეხსნება, ექვსი წლის წინანდელი დანაშაულები კვლავ გაუხსნელ საქმეთა გვერდით გადაინაცვლებს.

# ყაჩაღი კოლეგებმა გაიტაცეს

დაახლოებით ერთი თვის წინ, ბულგარული ფირმის ერთ-ერთი წარმომადგენელი პანჩო ბელგი ავტომობილით ბაქოდან ფოთში მიდიოდა. სოფელ საგვიჩიანოსთან მანქანას შეიარაღებული პირები გადაუდგნენ და მძღოლი (ქართველი) ავტომატის მუქარით აიძულეს, გაჩერებულიყო. თავდამსხმელებმა უცხოეთის მოქალაქეს 100 ათასი დოლარი წაართვეს და "ვაზ 21-01"-ით მიიმალნენ.

შემთხვევიდან რამდენიმე დღეში სამართალდამცველებმა ყაჩაღების მანქანა აბაშის ტყეში იპოვეს. როგორც გაირკვა, აღნიშნულ ავტომობილს პოლიცია რამდენიმე თვის განმავლობაში ეძებდა. იგი აბაშელ ჯემალ კუპრეიშვილს ბოროტმოქმედებმა 1 აგვისტოს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით წაართვეს.

უცხოელზე მომხდარი თავდასხმიდან ერთი თვის შემდეგ, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის და სამძებროს მთავარ სამმართველოებთან ერთად სენაკში და ხობში მოქმედი შეიარაღებული ჯგუფის წევრები– ორჯერ ნასამართლევი ხობელი ზვიად ხარებავა და ჭალადიდელი გელა არველაძე დააკავეს.

როგორც სამართალდამცველებმა დაადგინეს, ბულგარელის შესახებ ინფორმაცია ზვიად ხარებავას და უშანგი ჯიქიას გელა არველაძემ მიაწოდა. იგი რამდენიმე წელია, რაც საბერძნეთის საელჩოში მუშაობს. აღნიშნული საქმისთვის საელჩოს თანამშრომელმა ჯილდოდ 20 ათასი დოლარი მიიღო. სხვათა შორის, არველაძე დასახელებულ თანხას ამ ხნის განმავლობაში საიმედო ადგილას - საელჩოს შენობაშივე მალავდა. დღეისათვის გატაცებული თანხიდან მხოლოდ 37 ათასი დოლარია ამოღებული.

სამართალდამცველებმა უშანგი ჯიქიას დაკავება ვერ შეძლეს. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე სოსო ჩაჩიბაიამ გვითხრა, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი უშანგი ჯიქია საქმის გარჩევის მიზნით, 11 ნოემბერს ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენლებმა გაიტაცეს. პოლიცია ამჯერად ჯიქიას ადგილ-სამყოფელის დადგენას ცდილობს.

www.24hours.ge
24
B

ძალოსნობა

# "ოქრო", "ვერცხლი" და დაკარგული ჩემპიონობა

*ვარშავაში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე შარშანდელი წარმატების განმეორების მოლოდინში ვიყავით, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. გიორგი ასანიძემ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვერ შეინარჩუნა. ორჭიდის ჯამში ქართველი ძალოსანი მხარშეხვეული ავიდა კვარცხლბეკის მხოლოდ მეორე საფეხურზე, ჩემპიონი კი ბულგარელი გახდა.*


*გიორგი ასანიშვილი*

ბიბა ბურასაშვილი

ვარშავული მსოფლიო ჩემპიონატი, თითქმის, იმავე სცენარით წარიმართა, რაც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ვიხილეთ. 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ბედი პირადმა წონამ გადაწყვიტა. მაშინ 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სამმა ძალოსანმა ერთი და იგივე წონა დაძლია, მათ შორის ერთ-ერთი გიორგი ასანიძე იყო, რომელიც მხოლოდ იმიტომ ვერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, რომ პირად წონაში გერმანელ მეტოქეზე - მარკ ჰუსტერზე მეტს იწონიდა, თავად ჰუსტერი კი - ბერძენ პიროს დიმასზე მეტს. ახლანდელსა და ორი წლის წინანდელ ასპარეზობებს შორის სხვაობა ის გახლდათ, რომ იმ სამეულიდან მსოფლიო ჩემპიონატის ფიცარნაგზე მხოლოდ ასანიძე გავიდა, რომელსაც, ყველასგან მოულოდნელად, ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე უეცრად გადაეღობა ბულგარელი ზლატან ვასილევის აკვრაში დაძლეული 217,5 კილოგრამი. არადა, უკვე ვემზადებოდით ქართველი ძალოსნისთვის ჩემპიონობის მისალოცად. აი, როგორ განვითარდა მოვლენები - საწყის დისციპლინაში - ატაცში პირველი მცდელობისას ასანიძემ 172,5 კილოგრამი შეუკვეთა, აიტაცა კიდეც, მაგრამ დაძლეული ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და შტანგა დაანარცხა. მეორე მცდელობისას კი იგივე სიმძიმე საკმაოდ იოლად დაძლია. გადამწყვეტ მესამე მცდელობაზე ასანიძემ უკვე 177,5 კილოგრამი მოითხოვა. ხუთი კილოგრამით დამძიმებული შტანგაც დაიმორჩილა და შედეგად მცირე "ოქროსაც" დაეპატრონა. მცირეოდენი შესვენების შემდეგ აკვრის ჯერიც დადგა. ამასობაში უკვე სამი ლიდერი იყო გამოკვეთილი – ქართველი, ალბანელი და ბელორუსი. ასანიძემ მეორე დისციპლინაში ფიცარნაგზე 202,5 კილოგრამით წარდგა. უნდა ითქვას, რომ, წინამორბედი დისციპლინისგან განსხვავებით, ასანიძეს აქ ცოტათი გაუჭირდა. მართალია, წონა დაძლია, მაგრამ საკმაო ოფლისღვრაც დასჭირდა. წონასწორობის შესანარჩუნებლად ქართველმა რამდენიმე ნაბიჯით წაიწია, მაგრამ შტანგა ბოლოს მაინც დაიმორჩილა. მსაჯებმა ასანიძეს აკვრა არ დაუფიქსირეს. მაგარმ ამას ვინ ჩივის, მან მარცხენა მხარში საშინელი ტკივილი იგრძნო, ყოველ შემთხვევაში, ვიზუალურად ასე ჩანდა. თუმცა... რომ გვეგონა, ქართველი ასპარეზობას გამოეთიშებოდა, იგი მეორედ გავიდა ფიცარნაგზე, თანაც 2,5 კილოგრამით დამძიმებული შტანგით. გასაკვირია, მაგრამ ასანიძე იოლად გაუმკლავდა წონას. დადგა მესამე მცდელობის ჯერიც - ქართველ სპორტსმენს ფიცარნაგზე ამჯერად 207,5 კილოგრამი ელოდა. ასანიძის თავგამოდებამ ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. მან ეს წონაც დაძლია. ამის შემხედვარე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა გაოცებისგან ხელები თავზე იტაცა. ასანიძე კი ამ დროს მსაჯებს გაბრაზებული თითს უქნევდა, - ესეც თქვენო. მერე კი მოხდა ის, რაც დასაწყისშივე ვთქვით. ბულგარელმა მეორე მცდელობაზე 217,5 კილოგრამი შეუკვეთა... ორჭიდის ჯამში ქართველმაც და ბულგარელმაც 385-385 კილოგრამს მოუყარეს თავი. ასანიძე პირად წონაში ვასილევზე მეტს იწონიდა და ამიტომაც გამარჯვება ამ უკანასკნელს ერგო. ამ შემთხვევაში ქართველი მეოთხე ადგილზეა.

ასეა თუ ისე, ატაცში "ოქრომ" და ორჭიდში მსოფლიოს ვიცეჩემპიონობამ საქართველო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეშვიდე ადგილზე გაიყვანა. გუშინდელი ასპარეზობის შედეგების მიხედვით კი, მედლები 16-მა ქვეყანამ მოიპოვა.

ბუნებრივია, რომ ასანიძით დავიწყეთ, მაგრამ ორიოდე სიტყვით დავით პავლიაშვილზეც გიამბობთ - მოგეხსენებათ, 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველმა ძალოსანმა B ჯგუფში ორჭიდის ჯამში ყველაზე დიდი წონა დაძლია და ჯგუფის სათავეშიც მოექცა. მეთერთმეტე ადგილი, თავისთავად, კარგი მიღწევაა. ნაკრების მწვრთნელი გრიქუროვიც ასე ფიქრობდა, როდესაც მას წინა დღეს ვარშავაში შევეხმიანეთ. გრიქუროვმა ისიც დასძინა, რომ სავსებით შესაძლებელია, პავლიაშვილი კიდევ დაწინაურდეს, თუკი A ჯგუფში მოასპარეზე ათი სპორტსმენიდან რომელიმე ქართველზე ნაკლებს შეეჭიდებაო. გრიქუროვის ვარაუდი გამართლდა. 21 სპორტსმენის საბოლოო შედეგების შეჯამებისას პავლიაშვილი (320 კილოგრამით) მერვე ადგილზე მოხვდა. ცალკეული დისციპლინების ჯამში მას მერვე შედეგი აღმოაჩნდა აკვრაშიც (177,5), ხოლო ატაცში მისი 142,5 კილოგრამიანი შედეგი მხოლოდ მეთერთმეტე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. მიუხედავად ამისა, თუ ამ ჩემპიონატს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის რეპეტიციად ჩავთვლით, სადაც ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება, ამგვარი შედეგის განმეორების შემთხვევაში მას ათენის საგზური გარანტირებული ექნება.

ტანვარჯიში

# ხუთი, ხუთი და ფინალი

### ათენისთვის მზადება დებრეცენში დაიწყო

*უნგრეთში დებრეცენში მიმდინარე სპორტულ ტანმოვარჯიშეთა 36-ე მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ქართველი სპორტსმენი – ალექსანდრე თვაური და ილია გიორგაძე წარდგა.*
*საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის პროგნოზი გამართლდა - კარგ ფორმაში მყოფი გიორგაძე ფინალში გავიდა.*

ბიბა ბურასაშვილი

1983 წლის შემდეგ, როდესაც ბუდაპეშტმა უმთავრეს ასპარეზობას უმასპინძლა, 9 წელიწადი გავიდა. ამჯერად ტანვარჯიშის მესვეურებმა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა დებრეცენს არგუნეს და არც შემცდარან. უნგრეთი სპორტის ამ სახეობაში ერთ-ერთი მოწინავეა და ეს ჩემპიონატის ორგანიზაციულ მხარესაც ეტყობა. ჩემპიონატი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი ერთგვარ სამზადისსაც წარმოადგენს 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის. დებრეცენში, გამოცდილი სპორტსმენების გარდა, არიან ახალბედებიც, რომლებიც, სავსებით შესაძლებელია, იმავე ათენის თამაშებზე ვარსკვლავებად მოგვევლინონ. მოგეხსენებათ, ქართველი სპორტსმენებიდან, ალექსანდრე თვაურისთვის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გადაულახავი აღმოჩნდა. იგი დებრეცენში ერთადერთ დისციპლინაში – რგოლებში გამოდიოდა. 9.250 ქულით თვაურმა 29-ე ადგილი დაიკავა და ასპარეზობას გამოეთიშა. იმავე დისციპლინაში ვერც გიორგაძემ იყოჩაღა. მიუხედავად იმისა, რომ თანაგუნდელზე მეტი( 9.437) ქულა დააგროვა, ეს მხოლოდ მე-20 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. გიორგაძე ტაიჭზე ასპარეზობისასაც ნახევარფინალს მიღმა დარჩა. 9.425 ქულით იგი 21-ე ადგილზე აღმოჩნდა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორმაგი წარუმატებლობის შემდეგ მან მაინც მოინდომა და ორძელის საკვალიფიკაციო ეტაპი მეხუთე შედეგით დაასრულა. გიორგაძემ ნახევარფინალში 9.587 ქულით გაიკვლია გზა.

სხვათა შორის, იმავე საკვალიფიკაციო ეტაპზე მსაჯებმა ამდენივე ქულა მიაკუთვნეს ქართველის ჩინელ მეტოქეს - ლი სია-პენგსაც, რომელიც უკეთესი წინა მაჩვენებლის გამო მეოთხეზე გავიდა.

გიორგაძემ ნახევარფინალში გასულ 16 მონაწილეს შორისაც იყოჩაღა და ისევ მეხუთე შედეგი აჩვენა. ამჯერად ქართველი ტანმოვარჯიშე (9.325 ქულით) ფინალშია - რვა საუკეთესო სპორტსმენს შორის.

ფეხბურთი

# საქართველოს ჩემპიონატი - ლიდერების ჰარმონიული წინსვლა

*საქართველოს ჩემპიონატის მე-18 ტური, ერთი შეხედვით, ლოგიკურად დასრულდა – ოთხივე ლიდერმა სამ-სამი ქულა მიითვალა, მაგრამ თუ ეს ქულები ქუთაისის ტორპედოელთათვის, შეიძლება ითქვას, "უშრომელი შემოსავალივით" იყო, თბილისის "დინამოს" და "ლოკომოტივს" გამარჯვების მოსაპოვებლად დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდათ.*

მიხეილ აბაიშვილი

რუსთავის" "გორდასა" და თბილისის "დინამოს" შეხვედრის მე-14 წუთზე დარწმუნებით ვერავინ იტყოდა, რომ შუშაკის გუნდი რუსთავიდან თუნდაც ქულის წამოღებას მოახერხებდა. ამ მომენტისათვის მასპინძლები უკვე ორგოლიანი უპირატესობით ამარცხებდნენ მეტოქეს. ანგარიში მესამე წუთზევე გახსნა ჯელაძემ, მე-14 წუთზე კი ჩოხელმაც ისარგებლა სტუმართა მცველების დაუდევრობით და რუსთავის "ფოლადის" სტადიონზე სენსაციის სუნი დაატრიალა. რომ არა ამისულაშვილის სწრაფი პირველი საპასუხო გოლი, რომელიც "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მცველმა მე-19 წუთზე კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ თავით გაიტანა, ძნელი სათქმელია, შეძლებდა თუ არა ჩემპიონატის ლიდერი მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ შემოტრიალებას. პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა. შეხვედრის მეორე ნახევარში გადამწყვეტი გამოდგა სამწუთიანი მონაკვეთი: 57-ე წუთზე ჯერ ვიტალი დარასელიამ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი 59-ე წუთზე ანჩაბაძემ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. დარჩენილ ნახევარ საათში სტუმრებს კიდევ არაერთხელ შეეძლოთ "გორდას" კარის აღება, მაგრამ საფეხბურთო ფორტუნამ, რომელსაც მხარი კარგად აუბეს "დინამოს" თავდამსხმელებმა, რუსთავის გუნდი დაინდო.

"ტორპედომ" კი მართლაც გაილაღა. ქუთათურებმა მრისხანე სახელის მქონე წნორის "მილანი" ამ სახელისთვის შეუფერებელი ანგარიშით 5:0 დაამარცხეს და საჩემპიონო რბოლაში "დინამოს" კვლავ კვალში უდგანან. "სიონის" წინააღმდეგ თამაში, თანაც მისსავე მოედანზე, საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე ნებისმიერ გუნდს უჭირს. მართალია, ლუის ცაკარიასის გუნდმა შეძლო თემურ მახარაძის გუნდის დამარცხება, მაგრამ ამისათვის დიდი ოფლისღვრა დასჭირდა. ამაზე ანგარიშიც (1:0 "ლოკომოტივის" სასარგებლოდ) მეტყველებს. შედარებით უპრობლემოდ მოიგო ჩემპიონატის კიდევ ერთმა ფავორიტმა - თბილისის "ვიტ ჯორჯიამ". ჯანი კარნევალის შეგირდებმა გორის "დილას" უმასპინძლეს და სტუმართა კარში ორ უპასუხო გოლს დასჯერდნენ.

ლიდერთა შეხვედრებზე არანაკლებ პრინციპული გამოდგა გუშინწინ "სინათლის" სტადიონზე გამართული შეხვედრა, რომელშიც ზეექვსეულში მოხვედრის ერთ-ერთმა კანდიდატმა - "მერანმა" უშუალო კონკურენტს - ფოთის "კოლხეთს" უმასპინძლა. "რევოლუციებგადატანილ" ოთარ გაბელიას გუნდს საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის რეალური შანსი რომ შეენარჩუნებინა, ზღვისპირელებისთვის აუცილებლად უნდა მოეგო. მატჩი ინტრიგის შესაფერისი დაძაბულობით წარიმართა. სოსო ფილიას გუნდმა შეძლო და თამაში საკმაოდ დუნე ტემპში გადაიყვანა, რის შედეგადაც როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის კართან იშვიათად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. საბოლოოდ, სტუმრებმა საწადელს მიაღწიეს და მათთვის მეტად საჭირო ქულა მოიპოვეს, რამაც "კოლხეთს" ფინალურ ექვსეულში, თითქმის, გაუნაღდა ადგილი.

საქართველოს ჩემპიონატის მე-18 ტური

| | |
|---|---|
| **მერანი – კოლხეთი** | 0:0 |
| **ვიტ ჯორჯია – დილა** | 2:0 |
| **ბათუმი – მეტალურგი** | 1:0 |
| **ტორპედო – მილანი** | 5:0 |
| **გორდა – დინამო** | 2:3 |
| **სიონი – ლოკომოტივი** | 0:1 |

სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 15 | 1 | 2 | 43-7 | 46 |
| ტორპედო | 18 | 14 | 2 | 2 | 42-11 | 44 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 13 | 1 | 4 | 31-11 | 40 |
| ლოკომოტივი | 18 | 13 | 1 | 4 | 30-9 | 40 |
| სიონი | 18 | 8 | 2 | 8 | 23-23 | 26 |
| კოლხეთი | 18 | 7 | 3 | 8 | 19-27 | 24 |
| მერანი | 18 | 5 | 4 | 9 | 19-30 | 19 |
| ბათუმი | 18 | 4 | 5 | 9 | 13-23 | 19 |
| მეტალურგი | 18 | 5 | 1 | 12 | 10-37 | 16 |
| გორდა | 18 | 4 | 0 | 14 | 19-53 | 12 |
| დილა | 18 | 3 | 3 | 12 | 9-28 | 12 |
| მილანი | 18 | 3 | 3 | 12 | 9-35 | 12 |

# ჩრდილოეთ ირლანდია - საქართველოს ნაკრების ბოლო მეტოქე

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა ბრწყინვალედ იასპარეზა ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შესარჩევ ჯგუფურ ტურნირში და მეორე ეტაპზე გავიდა. მაშინ ოთარ კორღალიძის შეგირდებმა სასტარტო შეხვედრაში ბელგიის ნაკრებთან მინიმალური ანგარიშით (0:1) დამარცხების შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს უკრაინის (2:0) და ფარერების (2:0) გუნდები და ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ჯგუფური ეტაპი 2003 წლის გაზაფხულზე გაიმართება, თუმცა, უკვე გაირკვა საქართველოს ნაკრების ყველა მეტოქის ვინაობა. ადრევე ცნობილ იტალიის და ლატვიის გუნდებს ჩრდილოეთ ირლანდიის ცხრამეტწლამდელთა ნაკრებიც შეუერთდა, რომელმაც პირველ ეტაპზე თავის ჯგუფში უნგრეთის ნაკრების შემდეგ, მეორე ადგილი დაიკავა.

უეფა მეორე შესარჩევი ეტაპის ვადებს და მასპინძელ ქვეყნებს წლის ბოლომდე დაადგენს. აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს მეორე ჯგუფური ტურნირის მასპინძლობის შანსიც აქვს. მცირე ხნის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, რომ ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად. ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ერთი, პირველ ადგილზე გასული გუნდი გადის, რომელიც დანარჩენ ექვს ჯგუფში გამარჯვებულ პირველადგილოსნებს შეუერთდება. ამ შვიდ გუნდს დაემატება ფინალური ეტაპის მასპინძლის, ლიხტენშტეინის ცხრამეტწლამდელთა ნაკრები გუნდი. ფინალური ეტაპი მომავალი წლის შემოდგომაზე გაიმართება.

# სკოლარი, შესაძლოა, "პალმეირასს" დაუბრუნდეს

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ლუიშ ფელიპე სკოლარი კვლავინდებურად უმუშევარია. მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორს უამრავი შემოთავაზება ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებიდან, მათ შორის ჩილეს, მექსიკის, იტალიისა და პორტუგალიის ფედერაციებიდან. თუმცა, წარმატებით ვერც ერთი მოლაპარაკება ვერ დასრულდა. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტაქტი სკოლარის არ გაუწყვეტია, თუმცა მოლაპარაკებები საეჭვოდ დიდი ხნით გაიწელა. ყოველ შემთხვევაში, თავად მწვრთნელი სხვა შესაძლო ვარიანტებზეც ფიქრობს.

ხუთშაბათს, ბრაზილიის ტელევიზიით გამოსვლისას სკოლარიმ "პალმეირასში" შესაძლო დაბრუნებაზე ისაუბრა. "იმ შემთხვევაში, თუ პორტუგალიაში ან ინგლისში სამუშაო ვერ ვიპოვე, "პალმეირასში" დაბრუნებას არ გამოვრიცხავ", - განაცხადა "ფელიპაომ". ნაკრების მწვრთნელის პოსტზე დანიშვნამდე, სკოლარი სწორედ "პალმეირასს" ედგა სათავეში, რომელსაც არაერთი დიდი გამარჯვება მოუტანა, მათ შორის "ლიბერტადორესის" თასიც, 1999 წელს. მიმდინარე სეზონში "პალმეირასი" ბრაზილიის ჩემპიონატის ცხრილში უკანასკნელ საფეხურზე იმყოფება და მეორე ლიგაში გადასვლას ვერაფრით გადაურჩება. მიუხედავად ამისა, სკოლარი მაინც არ თაკილობს მშობლიურ კლუბში დაბრუნებას, თუმცა, ბრაზილიელს ჯერ კიდევ აქვს პორტუგალიის ნაკრების ან რომელიმე ინგლისური კლუბის მწვრთნელის სამსახურის შოვნის იმედი.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ნაკრების თავკაცის სავარძელი სკოლარიმ 21 აგვისტოს მიატოვა.


*ლუიშ ფელიპე სკოლარი*

# შევჩენკოს „მილანიდან„ წასვლა სულ უფრო რეალური ხდება

### უკრაინელი ფორვარდით მადრიდის "ატლეტიკო" დაინტერესდა

აკა ტონია

ნოემბრის თვე, იტალიური "მილანის" უკრაინელი თავდამსხმელის - ანდრეი შევჩენკოს შესახებ გავრცელებული ჭორების მხრივ, რეკორდული აღმოჩნდა. ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" ამ ფეხბურთელის გადაბირებითაა დაინტერესებული. შემდეგ ისეთმა ინფორმაციამაც გაიჟღერა, თითქოსდა "მილანი" შევჩენკოს ლუიშ ფიგუში გაცვლას აპირებდა.

უკანასკნელ დღეებში სულ უფრო მეტს საუბრობენ უკრაინელის მადრიდის "ატლეტიკოში" გადასვლასთან დაკავშირებით. იტალიური ტელე-მაუწყებლის, "Channel 4"-ის ცნობით, შევჩენკოს ტრანსფერის ინიციატივა ესპანური კლუბის აგენტის, ერნესტო ბრონძეტისგან მოდის. ბრონძეტი "ატლეტიკოში" მუშაობასთან ერთად "მილანის" მრჩეველიც არის სატრანსფერო საკითხებში. ესპანური მხარე ადასტურებს, რომ მართლაც დაინტერესებულია სეზონის ბოლომდე შევჩენკოს იჯარით აყვანით, თუმცა, ერთი პირობით: იტალიელებმა ფეხბურთელს ხელფასის ნახევარი უნდა უხადონ.

იმასაც ამბობენ, რომ უკვე შედგა წინასწარი მოლაპარაკება, რომელზეც "ატლეტიკოს" წარმოადგენდა კლუბის მთავარი სელექციონერი, პორტუგალიელი პაოლო ფუტრე, იტალიურ მხარეს კი - "მილანის" გენერალური დირექტორი არიედო ბრაიდა. შესაძლოა, გარიგებაში სხვა ფეხბურთელებიც ჩართონ. წინასწარი პროგნოზით, "მილანი" შევჩენკოს გაშვებაზე თანახმა იქნება, თუ მადრიდელები იტალიურ კლუბს ფაბრიციო კოლოჩინის ხელახლა შეძენის საშუალებას მისცემენ. კოლოჩინის ყიდვის შემთხვევაში "მილანი" ახალგაზრდა მცველის "ლაციოელ" იაპ სტამში გაცვლას აპირებს. გარდა ამისა, იტალიური კლუბი "ატლეტიკოს" ამომავალი ვარსკვლავით - 19 წლის ფერნანდო ტორესითაც არის დაინტერესებული.



*ანდრეი შევჩენკო*

რაც შეეხება თავად შევჩენკოს, უკრაინელი მადრიდში გადასვლას, სავარაუდოდ, დათანხმდება, რადგან "მილანის" ძირითად შემადგენლობაში მისი ადგილი არც თუ ისე გარანტირებულია. თავდამსხმელი უკმაყოფილოა იმით, რომ უკანასკნელ ხანებში ხშირად უხდება სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. ოქტომბრის ბოლოს შევჩენკომ მთლიანად მოიშუშა მუხლის ტრავმა, მაგრამ კარლო ანჩელოტი მას პიპო ინძაგის ამჯობინებს. მიუხედავად მილანური კლუბის ხელმძღვანელობის მტკიცებისა, რომ შევჩენკოსთან განშორებას არ აპირებს, ჭორი "ატლეტიკოსთან" მოლაპარაკებების წარმოების შესახებ საკმაოდ ახლოსაა რეალობასთან.

ანდრეი შევჩენკოს პრობლემები გასულ კვირასაც გაგრძელდა. ცნობილმა ჟურნალმა "France Football"-მა უკრაინელი "ოქროს ბურთის" 50 კანდიდატს შორის დაასახელა, თუმცა შემდეგ იგი დანიელი იონ დალ ტომასონით შეცვალა.

## სინემა

კინოთეატრი "რუსთაველი"

### "სათამაშოების ისტორია 2"
(აშშ, 1999 წელი)


კადრი ფილმიდან

Toy Story 2
რეჟისორები: **ლი ანკრიჩი და დონ ლესეტერი**
"უოლტ დისნეის პროდუქცია"

ალბათ, ახალი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ "უოლტ დისნეის" კომპანიას ეხერხება ისეთი ფილმების შექმნა, რომლებიც ყველა თაობის მაყურებლისთვისაა საინტერესო. "სათამაშოების ისტორია 2" მოზრდილ ადამიანს და პატარა ბავშვს ერთნაირად დააინტერესებს.

მულტფილმში საკმაოდ ბევრია სხვადასხვა, გახმაურებული კინოფილმების პაროდიები, მაგრამ ყველაზე მეტად გაშარჟებული "ვარსკვლავეთის ომებია". საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო წლებში მოდად იქცა ამა თუ იმ ბლოკბასტერის პაროდირება. მარტო "შრეკის" გახსენება რად ღირს, სადაც ჰოლივუდის "წესები" თავდაყირაა დაყენებული.

"სათამაშოების ისტორია 2-ს" თუ პირველ ნაწილს შევადარებთ, უდავოდ მეორე სურათი სიუჟეტურად უფრო დატვირთულია და მოვლენები ისე სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს, რომ მაყურებელს სულის მოთქმის საშუალება არ ეძლევა. მაგრამ, სამწუხაროდ, დაიკარგა ის დადებითი ატმოსფერო, რომელიც პირველ ფილმს ახლდა თან. მეორე ნაწილში არაფერი ახალი არ ხდება, ისევ თოჯინების გაუთავებელი თავგადასავლები, რომლებიც ქართველი მაყურებლისთვის კარგად ნაცნობ მულტსერიალებს ემსგავსება. ფილმში რამდენიმე ახალი მოქმედი გმირი შემოდის, ეს არის და ეს.

ამ ფილმზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით გამომსახველობით ტექნიკას. სურათი მთლიანად კომპიუტერის მეშვეობითაა გაკეთებული. რამდენიმე ეპიზოდში მაყურებელმა შეიძლება ვერც კი გააცნობიეროს, ანიმაციურ ფილმს უყურებს, თუ ნამდვილი, რეალური ქალაქის ხედებია მის წინ გადაშლილი. სურათი მთლიანად სამგანზომილებიანი სივრცის პროექცირებას ახდენს. ალბათ, შორს არ არის ის დრო, როდესაც კომპიუტერული გამოსახულება და გამომთვლელ მანქანაში შექმნილი მსახიობები დიდ ეკრანზე რეალურ ადამიანებს გაუწევს კონკურენციას.

ფილმი ქართულადაა გახმოვანებული. საბედნიეროდ, ქართველმა მსახიობებმა ძალიან კარგად დაიჭირეს ფილმის ინტონაცია და მათ საუბარში ოდნავი ხელოვნურობაც კი არ იგრძნობა. უნდა აღინიშნოს, რომ მულტფილმის ზოგიერთი გმირი ხან იმერულ და ხან გურულ კილოზე ლაპარაკობს, მაგრამ პერსონაჟების ხასიათიდან გამომდინარე, ცუდ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს.

*არჩილ მელიქიშვილი*

## მოკლედ

■ ■ ■

თბილისის ელენე ახვლედიანის ახალგარემონტებული სახლ-მუზეუმის (ქიაჩელის ქ. №12) პირველ ოთახში კედელი რამდენიმე დღის წინათ კვლავ დაიბზარა. როგორც მუზეუმის თანამშრომლები აცხადებენ, ბზარი მუზეუმის ქვედა სართულზე რესტორნის მოწყობის მიზნით სარემონტო სამუშაოებმა გამოიწვია. სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში კი მუზეუმი, შესაძლოა, სერიოზულად დაზიანდეს. მათივე თქმით, მშენებლობის ინიციატორის ვინაობა ცნობილი არ არის. რესტორნის გახსნის წინააღმდეგია ქიაჩელის ქუჩის მოსახლეობაც. სახლ-მუზეუმი მე-19 საუკუნის სამსართულიანი შენობის ბოლო ორ სართულზე მდებარეობს, სადაც მხატვარი ელენე ახვლედიანი ცხოვრობდა, სახლ-მუზეუმად კი 70-იან წლებში გადაკეთდა. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დაქვემდებარებულ მუზეუმში სარემონტო სამუშაოები ბოლოს წლეულს, თბილისის მერიის დაფინანსებით ჩატარდა. **(მედია-ნიუსი)**

■ ■ ■

23-30 დეკემბერს კალუგაში გამართულ კამერული ანსაბლების პირველ საერთაშორისო კონკურსზე ქართული საფორტეპიონო დუეტი: ქეთინო სეფაშვილი და თამარ ჩიტაძე მიიღებს მონაწილეობას. გოგონები პედაგოგ სვეტლანა კორსანტიას ასპირანტები არიან. კონკურსის ჟიურის ერთ-ერთ წევრად კონსერვატორიის რექტორი, პიანისტი მანანა დოიჯაშვილი არის მიწვეული. კამერული ანსაბლების პირველი საერთაშორისო კონკურსი ოთხ ნომინაციაში ჩატარდება: საფორტეპიანო დუეტები, ტრიო, კვარტეტი და კვინტეტი. ამ ღონისძიების ჩასატარებლად კალუგის მხარის ადმინისტრაციამ "ზაიპერის" ორი როიალი შეიძინა. კონკურსში მონაწილეობას მიიღებს 27 კოლექტივი სომხეთიდან, ბელორუსიდან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ჩინეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. ეს კოლექტივები შეირჩა აუდიოჩანაწერების მოსმენის შემდეგ. კონკურსის დამთავრების შემდეგ ლაურეატები მოსკოვის კონსერვატორიაში გამოვლენ. კონკურსის დამფუძნებლები არიან რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტრო და კალუგის ადმინისტრაცია, რუსეთის კომპოზიტორთა კავშირი და მუსიკის მოღვაწეთა საერთაშორისო კავშირი. **(კავკას-პრესი)**

## კალენდარი

### 24 ნოემბერი



მისი წინაპრები ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობდნენ. თავად კი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა, მონმარტრის, მულენ რუჟისა და იმპრესიონიზმის აღზევების ჟამს. მამის – ქალებზე და ცხოველებზე თანაბარი გატაცებით მონადირე გრაფისგან განსხვავებით, ბავშვობიდან სუსტი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა. ძვლების იშვიათი დაავადება სჭირდა და ორჯერ დაცემის შემდეგ ფეხის ძვლები აღარ გაეზარდა. მშობლების საამაყო ბიჭუნაც – "პატარა განძი" სულ 1.5 მეტრი სიმაღლისა გაიზარდა, დიდი ტანით, ბოხი ხმით, ძალიან მოკლე ფეხებით, მაგრამ, სამაგიეროდ, მხატვრობის ნიჭით.

... ტულუზ ლოტრეკმა ხატვა ათი წლიდან დაიწყო. მერე კი, ალკოჰოლთან ერთად, მხატვრობა მისი ცხოვრების ერთადერთ ნუგეშად იქცა: ფიზიკური ნაკლის გამო, მთელ თავის არარეალიზებულ ვნებას, სიყვარულს, ბრაზს თუ იმედებს ხატვისას ხარჯავდა.

ბოჰემა მისი ცხოვრების სტილი გახდა, მონმარტრის კაფეები და ბორდელები კი – სამოღვაწეო ასპარეზი. ხატავდა ყველგან და ყოველთვის – ღამის ღრეობებზე, კაფეებში, შინ, განსაკუთრებული გატაცებით კი მაინც ბორდელებში... ჯერ იაპონური სტილი მოირგო, შემდეგ პარიზულ წრეებში სახელი აფიშების ხატვით გაითქვა. დღეს კი მისი ტილოები – როგორც Belle Epoque-ს შესანიშნავი ნიმუშები, აუქციონებზე კოლოსალურ თანხად იყიდება.

**ანრი დე ტულუზ ლოტრეკი** 1864 წლის 24 ნოემბერს დაიბადა. აბსენტითა და ბრენდით ქრონიკულად მთვრალმა ჯერ მეცხრამეტე საუკუნე და მისი Belle Epoque გააცილა და 1901 წლის 9 სექტემბერს მშობლიურ სახლში გარდაიცვალა. დიდი მხატვრის ბოლო სიტყვები მამას ეკუთვნოდა. "შე, ბებერო სულელო", – აღმოხდა და მიიცვალა.

# გიორგი შავგულიძე ნამდვილი სახალხო არტისტი იყო

"სახიობას" თეატრალური კვირეული გრძელდება

თამარ მურვანიძე

22 ნოემბრიდან გიორგი შავგულიძის დამოუკიდებელ თეატრ "სახიობაში" გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით თეატრალური კვირეული დაიწყო. კვირეული გაიხსნა სპექტაკლით "კაცია ადამიანი?!" გუშინ, 23 ნოემბერს კი მსახიობ გიორგი შავგულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული წარმოდგენა-საღამო გაიმართა (სპექტაკლის რეჟისორია გია კახელი, "სახიობას" სამხატვრო ხელმძღვანელი).

შავგულიძის სახელობის თეატრი უკვე ათი წელია, რაც არსებობს, თეატრს ჰყავს ახალგაზრდული დასი, ამ ხნის განმავლობაში მას უკვე არაერთი სპექტაკლი აქვს დადგმული, რამდენიმე მათგანს უკვე უცხოეთშიც იცნობენ - პოლონეთში, რუმინეთში, საბერძნეთში, ბელგიაში. გიორგი შავგულიძის საღამოები დასისთვის უკვე ერთგვარად ტრადიციულად იქცა, ამ საღამოებს "სახიობა" ყოველწლიურად ნოემბრის თვეში მართავს.

"ჩვენი თეატრი გრძნობს, თუ რა დიდი პატივია მისთვის დიდი ქართველი მსახიობის სახელის ტარება, ვცდილობთ, ეს სახელი გავამართლოთ," – ამბობენ მსახიობები. თეატრს ჰყავს თავისი მუდმივი და ერთგული მაყურებელი, რომელიც კარგად იცნობს მის რეპერტუარს და რომელიც წინასწარ რეაგირებს იმაზე, თუ რა მოხდება მომდევნო ეპიზოდში.

**"კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს"** – ასე ჰქვია გიორგი შავგულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ წარმოდგენას, რომელიც "ყველასათვის საყვარელი აქტიორის" ცხოვრებაზეც გვიამბობს და მისი სახელობის თეატრის რეპერტუარსაც შეახსენებს ერთგულ მაყურებელს (უნდა აღინიშნოს ისიც, რომ "სახიობას" რეპერტუარში დიდი ადგილი ქართულ დადგმებს უკავია: "კაცია ადამიანი?!", "შუშანიკის წამება", "ჩანჩურა"...).

"ამ დარბაზში სულ ათიოდე ადამიანია შეკრებილი, ვინც ბატონ ჟორას პირადად იცნობდა," - ამბობს წარმოდგენის დასასრულს თეატრმცოდნე ნათელა არველაძე, "სახიობას" სალიტერატურო ნაწილის გამგე. ქალბატონმა ნათელამ გაიხსენა, თუ როგორ დგებოდა დარბაზი ფეხზე და როგორ ეგებებოდა ტაშით გიორგი შავგულიძის ყოველ გამოსვლას, თვით იმ სპექტაკლშიც კი ("ხეები ზეზეურად კვდებიან"), სადაც მსახიობი მხოლოდ პატარა ეპიზოდურ როლს ასრულებდა, როგორ საგანგებოდ ემზადებოდა ხოლმე ცნობილი მსახიობი სცენაზე გასვლის წინ... "გიორგი შავგულიძის წინაშე ყველა ხელოვანს დანაშაული მიუძღვის, 49 წლის მსახიობი ამ ცხოვრებიდან ფაქტობრივად არარეალიზებული წავიდა, რეჟისორებმა მისი ნიჭი ვერ გამოიყენეს, არადა, მსახიობს ნებისმიერი დრამატული თუ კომედიური როლის თამაში შეეძლო..."

"ძალიან ძნელია წარმოიდგინო, რა იყო ჟორა სცენაზე, - ამბობს მსახიობი ნინო ჩხეიძე, - ის რომ თამაშობდა, პარტერი გადაიძეძგებოდა ხოლმე, კულისებში კი უნდა გენახათ, რა ხდებოდა, ისეთი ადგილი უნდა შეგვერჩია, რომ კარგად დაგვენახა. გიორგი შავგულიძე რჩეულთა შორის რჩეული იყო."


სპექტაკლის დაწყების წინ

გიორგი შავგულიძე ტრაგიკულად წავიდა ამქვეყნიდან. თეატრის მსახიობებმა ის გახმაურებელი ტრაგედიაც გაიხსენეს, მსახიობის ოჯახს რამდენიმე წლის წინ რომ დაატყდა თავს.

"იშვიათია მსახიობი, რომელიც ასე უხდებოდა სცენას და რომელიც ასე დააკლდა ქალაქს", გიორგი შავგულიძე ნამდვილი სახალხო არტისტი იყო – თეატრში, რომელიც მსახიობის სახელს ატარებს, გიორგი შავგულიძეს ერთი წლის შემდეგ კიდევ გაიხსენებენ.

"სახიობას" თეატრალური კვირეული გრძელდება. ხვალ პრემიერაა – შავგულიძის მსახიობები "სოლომან მორბელაძეს" წარმოგვიდგენენ.

# ხუთი კაბა

ანა კორძაია-სამადაშვილი

"კლუბ 22"-ში გამოფენის გახსნაზე მისულებს დაგვხვდა ჩამქრალი შუქი (ასეთი ჩანაფიქრი არ ყოფილა, უბრალოდ, თბილისური ზამთარი გვიახლოვდება), მოპარპალე სანთლები და უამრავი ადამიანი, რომელიც კაფედ წოდებულ, თბილ და მყუდრო მისაღებში შეყუჟულიყო და სულ არ ადარდებდა, რომ გახსნა გვიანდებოდა – ისედაც ჩინებულად გრძნობდა თავს. კლუბის ხელმძღვანელი სოსო ალავიძე ღვინის დიდი ბოთლებით ხელში ცდილობდა ბრბოში გზის გაკვლევას, მოსულთა ნაწილი კი გალერეის შესასვლელთან ირეოდა და ოდნავ გამოღებული კარიდან ცდილობდა ექსპოზიციის დანახვას.

როგორც იქნა, სინათლე აინთო და აღმოვაჩინეთ, რომ მისაღებში უჩვეულო გირლანდები გაებათ - ფოტოები, რომლებზეც გამოფენის ავტორის, სოფო ქორიძის მიერ შექმნილ ხუთ კაბაში გამოწყობილი, ქალაქში მოსეირნე მშვენიერი გოგონები იყვნენ აღბეჭდილი. ფოტოების ავტორები გიორგი სუმბაძე და სოსო ალავიძე არიან.

"კლუბ 22"-ის გალერეაში გამოფენილი ხუთი კაბა მხატვარ-დიზაინერს, სოფო ქორიძეს ეკუთვნის. თბილისისა და ფლორიდის სამხატვრო აკადემიებში სწავლის შემდეგ სოფო რამდენიმე თვის განმავლობაში მაიამიში მუშაობდა, ესპანელი დიზაინერის, ლუმარის სახელოსნოში, ნატიფ ხელოვნებას Cypresof Lakes Center of The Arts-ში ეზიარა და სტაჟირება რომის მოდელირების აკადემია Koefia-ში გაიარა.

სოფო ქორიძე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით რეჟისორ ნუგზარ ბაგრატიონის მიერ დადგმული სპექტაკლის, "ნუ მიგვატოვებ, მზეოს" კოსტუმების ავტორია. ამჟამად ის ამავე თეატრში კვლავ კოსტუმების მხატვრად მუშაობს სპექტაკლისათვის "გმირი".

ფლორიდაში გამართული პერსონალური გამოფენების ("სველი ნახატი", "დიდი ხელოვნება") და ფორტ ლარედეილის ნატიფი ხელოვნების აკადემიის მისაღებ კონკურსში პირველი ადგილის მოპოვების შემდეგ სოფო ქორიძემ გუშინ თბილისში პირველი პერსონალური გამოფენა გახსნა.

კლუბის სტუმრები დაუფარავად გამოხატავდნენ მოწონებას. მართლაც ლამაზი იყო დარბაზში დაკიდებული ხუთი, სხვადასხვა ფერის კაბა, რომელთა ფერსა და ქსოვილის ფაქტურასაც ოსტატური ხელოვნური განათება უსვამდა ხაზს. "კაბებია თუ აბაჟურები?" – იქედნური ნათქვამი არ ყოფილა, გულწრფელი აღტაცებით იყო ნაკარნახევი. დარბაზში მშვენიერი მუსიკა ჟღერდა, რომელიც, ერთი ვერსიის თანახმად, დათო ევგენიძეს ეკუთვნოდა, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ, ინფორმაციის სანდო წყაროს ვერ მივაგენი, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მშვენიერი კომპოზიციები იყო.

ასე რომ, თუკი ზანდუკელის ქუჩაზე, კლუბ 22"-ში სტუმრობას განიზრახავთ, ალბათ, საღამოს მისვლა აჯობებს, რომ სწორედ იმ სახით ნახოთ ხუთი კაბა, რა სახითაც მათი ჩვენება სოფო ქორიძეს გამოფენის გახსნის დღეს ჰქონდა განზრახული.


ორი კაბა

# რა იმალება შედევრებს მიღმა?

ეთერ მამულაშვილი

ლონდონის ნაციონალურ გალერეაში გაიხსნა უნიკალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო გამოჩენილ მხატვართა ცნობილი ტილოების ესკიზები. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ეს ესკიზები სპეციალისტებმა, ინფრაწითელი სხივების კამერისა და კომპიუტერის დახმარებით, საღებავების ფენის ქვემოდან ამოიღეს.

როგორც წესი, მხატვრები, სანამ უშუალოდ ტილოზე დაიწყებდნენ მუშაობას, მანამდე მომავალი ნახატის მონახაზს აკეთებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველამ იცოდა, დღემდე ამ ესკიზების ნახვა შეუძლებლად მიაჩნდათ.

ბრიტანელმა მეცნიერმა რეიჩელ ბილინჟმა ინფრაწითელი კამერა პირველად ათი წლის წინ გამოიყენა. მან საღებავის ქვეშ რაფაელის ცნობილი ტილოს - "მადონა ყრმასთან და იოანე ნათლისმცემელთან ერთად" ესკიზის დანახვა შეძლო.

ბილინჟის მრავალწლიანი მუშაობის შედეგად გამოვლინდა 19 ესკიზი, რომლებიც ლონდონის ნაციონალური გალერეის გამოფენაზე, ვირტუალური სახით იყო წარმოდგენილი.

დღეს ეს ესკიზები ლონდონის ნაციონალურ გალერეაში ცნობილ მხატვართა შედევრების გვერდით ჰკიდია.

ახალმა ტექნოლოგიამ სპეციალისტებს საშუალება მისცა, მხატვრების პირვანდელი ჩანაფიქრის და მისი განხორციელების პროცესისთვის თვალი ედევნებინათ.

ბილინჟის თქმით, არასდროს არავინ იცის, თუ რისი დანახვა შეიძლება სურათის ქვეშ. "ზოგიერთი ესკიზი დასრულებული სურათის ზუსტი ასლი იყო, ზოგიც მხოლოდ რამდენიმე დეტალით განსხვავდებოდა", - განაცხადა ბილინჟმა შედევრებზე მუშაობის შემდეგ.

ბილინჟისთვის, და არა მარტო მისთვის, ნამდვილ სიურპრიზად იქცა პონტორმოს ერთ-ერთი ნახატი, კერძოდ, "იოსები და იაკობი ეგვიპტეში". სპეციალური გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ, თურმე, მხატვარს ბოლო წუთებში გადაუწყვეტია, უკანა ხედი სარკისებურად შეეტრიალებინა. რატომ? ბილინჟმა, ამ კითხვაზე პასუხი რომ გაეცა, სურათის კომპიუტერული ვარიანტი "დახატა", რომელიც ზუსტად შეესიტყვებოდა მხატვრის პირვანდელ ჩანაფიქრს. აღმოჩნდა, რომ ნახატის ფონი არ იყო დაბალანსებული, მარჯვენა მხარე დაუმთავრებელი იყო.

ბილინჟის ეს მეთოდიკა ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინ იყო ცნობილი. თუმცა, მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკის პროგრესის შემდეგ გახდა შესაძლებელი კამერით დანახული ესკიზების დაბეჭდვა, რომელიც ნებისმიერი დამთვალიერებლისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"
პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"
MATTIOLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"
მეზოთერაპია
სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.
ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 901729

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა 39-53-41 მარინა 877 495-490

სასწრაფოდ! პლატოდან 1 კმ. 2-სართულიანი უცხოვრებელი ახალაშენებული სახლი. ხეში განყობილი, არტეზული ჭით. მის: სოფ. "თხინვალა". ტელ: 63-23-23.

იყიდება გარემონტებული 1,5-ოთახიანი ბინა, 15 კვ.მ. მიშენებით, ავეჯით, ყაზბეგის 2 ა-ში, 2(8). ფასი შეთანხმებით. 69 08 48

იყიდება საკუთარი სახლი. 63 32 44

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

## მიწის ნაკვეთი

ვყიდი გრიგოლეთის სააგარაკე მიწის ნაკვეთს, ზღვიდან 100-120 მ, 300კვ/მ, ფასი 3000$. ტ: 877 712284, თამუნა.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

სასწრაფოდ ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას 3000$-ად საბურთალოზე.
ტელ: 78-21-80 (საღამოს საათებში)

## კომერციული ფართი

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე 27 000-ად. 77 19 40, 92 24 64 ტარიელი

## მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

შეგასწავლით ინგლისურ ენას ძალიან კარგად ბინაზე მისვლით. ფასი საათების რაოდენობის მიხედვით. ტელ: 34-45-25, 877 746168.

## სწავლება

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

შევასწავლით ჩოგბურთის თამაშს პროფესიულ დონეზე ბავშვებს 6-დან 14 წლამდე. მოვამზადებთ ფიზოში. სასურველია სპორტული აღნაგობა. ასევე შევასწავლით მოყვარულებს. 94 16 28

## სხვადასხვა

ფირმა "ზაისადის" უმაღლესი ხარისხის მაკარონები და "პეჩენიები" საბითუმო ფასებში. 35 16 71, 8(77) 42 21 53

გამომეხმაურონ პროფესიონალი ფარმაცევტები. 34 25 22

იყიდება ძვირფასი ნორკის ქურქი 3000-ად. 8(99) 57 75 95

საფირმო სალონი "მაუდი" იწვევს დისტრიბუტორებს, რეალიზატორებს, გამყიდველ გოგონებს. ა. წერეთლის გამზ. 140. 34 89 46

მერქნის დახერხვა, გამოხარშვა, გამოშრობა ევროსტანდარტით. 8(99) 18 20 28

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ფალიაშვილის 48-ში. 8(99) 28 99 66, 23 35 12

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა

შაბათ-კვირის კერძო საბავშვო ბაღი. 34 63 57

"სამოსელი პირველი" გაყიდვაშია. 38 47 53

**თბილისის სახელმწიფო აკადემიის პიტოთერაპიული კლინიკა მკურნალობს:**

1. ქოლეოცისტიტი - მწვავე, ქრონიკული (ნაღვლის ბუშტის გამორეცხვა ზონდირების გარეშე, ჩირქი, მარილები, ბილიარული სიმკვრივე);
2. ფილტვების გასუფთავება ლორწოსაგან აქტიურ და პასიურ მწეველებში;
3. თირკმელებში ცილა, სილა, კენჭი, ჩირქი;
4. მაგნიტური ტალღების და კომპიუტერული სისტემების უარყოფითი გავლენის მოხსნა.

**ტელ: 25-31-83**
**მის:** მე-9 საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა, I სართული

**გთავაზობთ** წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

**საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ**

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.
მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

**განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყებულია. მიღება გრძელდება.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.




## აფიშა

### თეატრები

- **რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.
- **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პეტრე ჩაიკოვსკი "გედების ტბა", ბალეტი ოთხ მოქმედებად
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 12:00 სთ
- **მარჯანიშვილის თეატრი**
ლაშა თაბუკაშვილის "ნატაძრალი", რეჟ: ნუკრი ქანთარია, მთავარ როლებში ედიშერ მაღალაშვილი, გურანდა გაბუნია
დას: 18:00 სთ; ფასი 3-6 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი
- **ახმეტელის თეატრი**
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3
- **თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **"ჯიბის თეატრი"**
"გაკვეთილი", რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ, ფასი: 5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

- **N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)
- **გალერეა "ვერნისაჟი"**
გიორგი აფციაურის ნამუშევრების გამოფენა
- **TMS**
ქეთი იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

- **"ამირანი"**
მულტიპლიკაციური ფილმი "სპირიტი"
დას: 11:00; 13:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ვასაბი", რეჟ. ლუკ ბესონი, მთავარ როლში ჟან რენო
დას: 15:00; 19:00 სთ, ფასი 7,8 ლარი
"მობრძანდით კოლინვუდში"
დას: 17:00; 21:00 სთ, ფასი 7,8 ლარი
"პიანისტი ქალი", რეჟ. მიხაელ ჰანეკე
დას: 23:00 სთ, ფასი 7,8 ლარი
- **"რუსთაველი"**
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00; 17;00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 7 ლარი
- **"ელისო"**
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 13:00; 15:00; 17;00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჰოლივუდური დასასრული", რეჟ. ვუდი ალენი
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 6 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი







# რაზე ოცნებობს ნათია ღვალაძე

ანა კორძაია-სამადაშვილი

დღეს ჩვენი გაზეთისა და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრის" მიერ გამოცხადებული კონკურსის, "მის ფოტომოდელი 2002"-ის გასული კვირის გამარჯვებულს წარმოგიდგენთ. შეგახსენებთ: ექვსი დრის განმავლობაში "24 საათში" განთავსებულია კანდიდატთა ფოტოები, რომელთაგანაც კვირის ბოლოს ხმათა უმრავლესობით გამარჯვებული შეირჩევა.

ნათია ღვალაძე, 16 წლისა, მაკიაჟისა და ხელოვნური განათების გარეშეც მშვენიერი გოგონა ბრძანდება. ამიტომ სულ არ გამკვირვებია, როდესაც თავისი კონკურსში მონაწილეობის ამბავი მიამბო: "ფაქტიურად, ქუჩიდან მოვედი". "იმიჯ-ცენტრის" ხელმძღვანელმა, ია კიწმარიშვილმა, ის, სიტყვის სრული მნიშვნელობით, ქუჩაში შეამჩნია, გამოელაპარაკა და დამშვიდობებისას თავისი სავიზიტო ბარათი დაუტოვა. პასუხად კითხვაზე, თუ როდის მოხდა ეს ამბავი, ნათიამ მომიგო, კარგა ხნის წინათო, თუმცა, შემდეგ გაირკვა, რომ მას მერე ერთი წელიც არ გასულა, ნათიამ ჯერ "იმიჯ-ცენტრში" სამთვიანი კურსის გავლაც ვერ მოასწრო – როგორც ჩანს, 16 წლის ასაკში ადამიანებს დროის სულ სხვა შეგრძნება აქვთ...

ამჟამად ნათია 54-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა. სამომავლო გეგმა უკვე ჩამოყალიბებული აქვს: სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარებს და ფარმაცევტი გახდება. ეს სპეციალობა – ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ასე ფიქრობს – მისთვის ძირითად საქმედ დარჩება, თუმცა ფოტომოდელობაც მოსწონს და არც ამ პროფესიაზე აპირებს უარის თქმას. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოგადაღებები დასრულდა, ნათია ინტერვიუზეც ფოტოსტუდიიდან გამოცხადდა, ჩანს, მოეწონა ეს საქმე და თან "ყოფილ თანამშრომლებთან", ფოტოგრაფებთანაც საუკეთესო ურთიერთობა აქვს. ასე რომ, რაც არ უნდა წარმატებული ექიმი გახდეს, მოდელობისთვის თავის დანებებას არ აპირებს.

როცა საუბარი ლამაზ ქალებს ეხება, ყოველთვის ერთი და იგივე კითხვები ჩნდება ხოლმე: როგორი ტანსაცმელი მოსწონს, რა სუნამოს აძლევს უპირატესობას, როგორია მისი საოცნებო მამაკაცი... ნათიამ ღიმილით მომიგო, რომ ტანსაცმელი დიდად არ ადარდებს. მამაკაცებს რაც შეეხება, დაფიქრდა. აღმოჩნდა, რომ ამაზე აქამდე დიდად არ უფიქრია და ამიტომ ვერაფერს იტყვის. ნათიას თაყვანისმცემლებს, რომლებიც მის გარშემო, ალბათ, უხვად ირევიან – ძნელი წარმოსადგენია, რომ მომხიბვლელ ქალბატონს ძლიერი სქესის ყურადღება აკლდეს – ძალიან გაუმართლათ, თორემ როგორი გასაგონია, რომ საოცნებო გოგოს შენგან სრულიად განსხვავებული კაცი წარმოუდგენია ზღაპრულ უფლისწულად...

ოცნება კი ნათიას საკმაოდ მკაფიოდა აქვს ჩამოყალიბებული და საკმაოდ რეალურადაც ჟღერს: უნდა, რომ ოდესმე რიო დე ჟანეიროში, კარნავალზე მოხვდეს. რატომაც არა! იქნებ, არა რიგითი ტურისტის, არამედ ცნობილი ფოტომოდელის სტატუსითაც.




## TV პროგრამა 24 ნოემბერი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "სამნი"
11.50 ველური ბუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი"
18.00, 21.00, 00.40 კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ომის ხელოვნება" 8 77 45-79-25 უესლი სნაიპსი, ენი არჩერი, "იღბლიანი გაყიდვა" 8 77 45-79-26 სოფი მარსო, დევიდ სპეიდი, "რა აკეთოს მკვდარმა დენვერში" 8 77 45-79-27 ენდი გარსია, კრისტოფერ ლოიდი
00.50 მხ.ფ. "სიყვარულის ვირუსი" მთ. როლებში კრისტენ დანსტი, ბელ ფოსტერი
03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 "მოამბე"
08.15 მხ. ფილმი "ხუმრობა"
10.00 დილის პაემანი
11.05 "დიდი დასვენება"
11.35 ლიტერატურული გადაცემა
12.05 "სპა"
12.35 "პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 "ღამის ჯაზი"
14.25 "არათბილისური ამბები"
15.00 "საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე"
15.20 შ. რუსთაველის აკადემ. თეატრის სპექტაკლი "სამთა სიყვარული"
16.45 "შუახეობა"
17.05 "საკვირაო გამოფენა"
17.15 მულტფილმი "პრინცესა ნერი"
17.40 ტელეზღაპარი "12 თვე"
18.00 "ტაიმ-აუტი"
18.20 "ფრაგმენტები სურათებისთვის"
18.55 "ოქროს ვექტორი"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 "ამბობენ"
21.25 "მუსიკალური ოქტაგონი"
22.15 სერიალი "ნაპოლეონი"
23.00 "ჩემი მშვენიერი ლედი"
23.25 ქართ. მხ. ფილმი "ჰეი, მაესტრო"
01.05 "ტაიმ-აუტი"
01.35 მხ. ფილმი "პროვინციელი ქალი"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
09.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
10.00 "ტოროლა"
13.00 "ვიდეო-რადიო" გამეორებით
14.00 "კომედია" მხ.ფ. "სამართლიანი დადლი"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ნეშთი".
01.40 ღამურა "შეუბრალებლად".
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 "მრავალსახეობა"
20.30 ვიცი
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "ბარნი და მისი პატარა უსიამოვნებები"

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00 მულტფილმი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 - 19.00 რელიგიის საათი
19.00 დოკ. ფილმი
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა ბავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
21.00 დოკ. ფილმი
22.00 "იდენ-ტვ"
22.30 ოაზისი
23.30 მსოფლიო სპორტი

### იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "ყველაფერში დამნაშავეა რიო"
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. "მატყუარა ვარ"
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დიდი ბრიტანეთი დღეს
20.00 მხ.ფ. "ტრასა-60"
22.15 მხ.ფ. "ადგილები არ არის"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი ჯო"
13.30 მხ. ფილმი "პროფესიონალი"
15.00 მხ. ფილმი "შერკინება"
18.00 მუსიკა
18.30 ჯაზ-პარნასი
19.00 ინდ. მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი "მებრძოლთა კლუბი"
00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
00.20 მხ. ფილმი "მალენა"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 12.35, 21.35, 23.40 მუსიკა
11.00 მხ. ფილმი "ვნებათა სასტუმრო"
12.50 დოკ. ფილმი "კანი 400 დარტყმა"
14.35 მხ. ფილმი "მაგარი პოლიციელი"
16.05 მულტფილმი "ეგვიპტური ზღაპარი"
16.10 მხ. ფილმი "მატარებელი"
18.10 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი "ვერის უბნის მელოდიები"
21.50 მხ. ფილმი "ზნედაცემული ანგელოზები"
00.00 მხ. ფილმი "შეტაკება ცაში"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი"
11.00 "ყველანი ვართ პატარები"
11.10 "Слово"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ბრილიანტის პოლიციელი"
13.45 დრამა "ბასრი სამართებელი"
16.10 მულტფილმი
17.10 კომედია "ამერიკის პრეზიდენტი"
19.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
20.20 ქართული მხატვრული ფილმი "სამშობლო"
22.30 "Новости в воскресенье"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 "Новости в воскресенье"
00.50 დეტექტივი "გამოსავალი არ არის"
03.30 მხატვრული ფილმი "ორი ჯეიკი"

### VII არხი

18.00,19.30,01.30 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.20 "ლა-ლა-ლა"
19.00 "აჩიკუდა"
19.20 "ავტოტრეკინგი"
20.00 "სახლიდან გაუსვლელად"
20.30 "კინოკლუბი " - "შუაღამის ექსპრესი"
22.25 "სახლიდან გაუსვლელად"
23.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
23.45 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
00.50 "სახლიდან გაუსვლელად"
01.25 მელოდია 01.40 "სახლიდან გაუსვლელად"

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Мультфильм "Серая шейка"
08.30 Сериал "Флиппер"
09.20 Служу России!
09.45 Дисней-клуб: "Тимон и Пумба"
10.10 Дог-шоу
11.10 "Непутевые заметки" с Дм.Крыловым
11.30 Пока все дома
12.05 "Властелин вкуса"
12.50 Комедия "ПОСЛЕДНЕЕ ДЕЛО ВАРЕНОГО"
14.30 Дисней-клуб: "Утиные истории"
15.15 Умницы и умники
15.40 "Ералаш"
15.50 КВН-2002
18.00 Док.сериал "Живая природа". "Звери: внутренний мир"
19.00 Времена
20.08 "Норд-Ост" мы с тобой!"
21.40 Боевик "6-Й ДЕНЬ"
00.05 Бокс. Виталий Кличко - Ларри Дональд
01.05 Триллер "НА ПОСЛЕДНЕМ ДЫХАНИИ"

### РТР

07.20 Фильм-сказка "Садко"
08.45 Сериал "Дракоша и компания"
09.10 Русское лото
10.00 "ТВ Бинго-шоу"
10.35 Местное время. Вести-Москва.
11.15 Утренняя почта
11.50 "Городок". Дайджест
12.20 Худ.фильм "ПРИШЕЛЬЦЫ"
14.10 Парламентский час
15.00 Вести
15.20 Вокруг света
16.15 Диалоги о животных
17.10 Моя семья
18.05 Аншлаг
19.00 Худ.фильм "ТАКСИ"
20.50 В "Городке"
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 М. Задорнов. Научный трактат "Мы"
00.00 Худ.фильм "ТАКСИ 2"
01.45 Худ.фильм "ШЕСТЬ"
03.45 Спорт за неделю

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible]